გაზეთი ზევრის, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№41 (936) 25 - 27 აპრილი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ვალერი გელაშვილის საქმე გახსნილია

„ჩემი ერთადერთი მიზანია, მიხეილ სააკაშვილი მისცენ პასუხისგებაში — მე ეს შედეგი მინდა!“

ვინ გადაუხდის პარლამენტარს 6 მილიონ დოლარს

გვ.3

დეპუტატი ახალ სარჩელს ამზადებს

თბილისის გზები საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს! — მერიის შეგნებული შეფერხებები

გვ.2

ახალაიას ქართველი კრიმინალებიც ემუქრებიან

რა შემთხვევაში გადმოსცემს საბერძნეთი საქართველოს ინტერპოლით ძებნილ ყოფილ მაღალჩინოსანს

გვ.4

წინასაარჩევნო ვნებანი „ქართულ ოცნებაში“

ირაკლი შიხიაშვილი „გადააგდეს“, გიორგი მუსხელიშვილს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის ამზადებენ?

გვ.2

„აგვისტოს ომის დეტალებში ქექვის ნაცვლად, ძალოვან სისტემაში ჩანერგილები იკვლიონ“

გვ.6

დავით დარჩიაშვილი

ირაკლი ალასანიას სამხედრო რჩევებს აძლევს

SOS! „გუდვილში“ იმ პროდუქტის ფულსაც იხდით, რომელიც არ შეგიძენიათ

გვ.8

პარლამენტარების ბიზნესწილების სკანდალური სია

გვ.5

დადგება თუ არა 43 დეპუტატის პასუხისმგებლობის საკითხი

სუიციდი — თანამედროვე საქართველოს გადაუჭრელი პრობლემა

წინასაარჩევნო ვნებანი „ქართულ ოცნებაში“

რუსუდან შელია
557-100-768

ირაკლი შიხიაშვილი „გადააგდეს“, გიორგი მუსხელიშვილს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის ამზადებენ?

კოალიცია „ქართული ოცნება“ თბილისის საარჩევნო სიას 26 აპრილს წარადგენს, მანამდე კი ოფიციალურად მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ თბილისის მერობისთვის დავით ნარმანია იბრძოლებს. პოლიტიკიდან წასვლამდე ბიძინა ივანიშვილმა ასე დაიბარა...

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის კანდიდატების საბოლოო შეთანხმება კოალიციისთვის ადვილი არ აღმოჩნდა, განსაკუთრებით, თბილისის საკრებულოს დაკომპლექტების თვალსაზრისით. ნაციონალური მოძრაობიდან „ქართულ ოცნებაში“ პორტირებულ ირაკლი შიხიაშვილს ბოლო წუთამდე სჯეროდა, შრომა დაუფასდებოდა და კოალიცია მოახლოებულ არჩევნებშიც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატად დაასახელებდა, თუმცა „ვერსიის“ ინფორმაციით, „ხრუშჩოვკების“ დანგრევის ავტორს „ოცნებები“ დაემსხვრა. კოალიციის პოლიტიკურმა საბჭომ მას საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატად წარდგენაზე კატეგორიული უარი განუცხადა — საკრებულოში ნაციონალური მოძრაობის უმრავლესობის დაშლისთვის მადლობას გიხდით, მაგრამ მაინც ყოფილი ნაციონალი ხარ და ახლა აღარ გვჭირდებიო. ერთი სიტყვით, ირაკლი შიხიაშვილი კოალიციამ კარგად გამოიყენა და ბოლოს, პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა. რა გეგმები აქვს „ქართული ოცნებისგან“ „გადაგდებულ“ თბილისის საკრებულოს ჯერ კიდევ მოქმედ თავმჯდომარეს და საერთოდ წავა თუ არა პოლიტიკიდან, ეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გამოჩნდება. კოალიციამ იმედები კიდევ ერთ პორტირებულ ნაციონალს, გლდანის მაჟორიტარ ნიკო ხაჩირიშვილს გაუწბილა. მას საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ვერც გიგი უგულავასთან დაპირისპირებამ და ვერც „ქართული ოცნებისთვის“ ერთგულების მტკიცებამ უშველა. „ვერსიის“ ინფორმაციით, ნიკო ხაჩირიშვილიც ირაკლი შიხიაშვილის გზას გაუყენეს.

„ვერსიას“ ისიც უამბეს, რომ საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე კოალიცია ირაკლი შიხიაშვილის მოადგილის, გიორგი მუსხელიშვილის კანდიდატურას განიხილავს, თუმცა იგი პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრია და რამდენად გარისკავს მმართველი გუნდი ირაკლი ალასანიას თანაგუნდელს თბილისის საკრებულო ჩააბაროს, საკითხავია, მით უმეტეს, კულუარებში დიდი ხანია საუბრობენ, რომ თავდაცვის მინისტრსა და კოალიციის ხელმძღვანელებს შორის შავმა კატამ გაირბინა. მიუხედავად ამისა, „ვერსიის“ სანდო წყაროს ინფორმაციით, დღეს ყველაზე რეალურ კანდიდატად სწორედ მუსხელიშვილი მოიაზრება. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტისთვის, „ვერსიის“ ინფორმაციით, პარტია „მრეწველების“ ლიდერის, ზურა ტყემალაძის შვილი, გიორგი ტყემალაძეც იბრძვის. გიორგი ტყემალაძეს „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოსთვის საკუთარი კანდიდატურა უკვე შეუთავაზებია, მაგრამ სანდო წყარო გვიმხელს, რომ ნაკლებად სავარაუდოა, პოლიტსაბჭომ მისი წინადადება დააკმაყოფილოს.

პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ იმასაც, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ განხეთქილების მიზეზი მხოლოდ კანდიდატებზე შეჯერება როდია. ამბობენ, გაერთიანებაში შემავალი პარტიების ლიდერების უკმაყოფილება იმანაც გამოიწვია, რომ სიის შედგენისას უპირატესობა მიენიჭა პარტია „ქართულ ოცნებას“, რომელსაც 50%-იანი კვოტა ერგო. სხვა 6-მა პარტიამ კი, დარჩენილი 50% უნდა გაინაწილოს. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, ტრადიციას არც ამჯერად ღალატობენ და აცხადებენ, რომ გაერთიანებაში არც კვოტებთან დაკავშირებითაა რაიმე სახის დაპირისპირება, მით უმეტეს, კოალიცია, ბიძინა ივანიშვილის მოთხოვნით, საპარლამენტო არჩევნების დროსაც ამ სქემით ხელმძღვანელობდა და შესაბამისად, პარტიების ლიდერებს პრეტენზიები არც ამჯერად გასჩენიათ.

თბილისის გზები საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს! — მერიის შეგნებული შეფერხებები

გიორგი იაშვილი

თბილისის გზებზე მოძრაობა სახიფათოა! რამდენიმე დღის წინ თბილისის მარცხენა სანაპიროზე დაიმტვრა მანქანა შუა გზაზე ორმოს აცილებისას, მძღოლმა ფეხები მოიტეხა. გლდანში, ასევე მაგისტრალზე, ყოველგვარი გამაფრთხილებელი ნიშნების გარეშეა მიტოვებული ორმოები და ამოჭრილი ასფალტი, პეკინზე და ყაზბეგის გამზირზე იგივე მდგომარეობაა, მეტეხის გვირაბი ასევე დანგრეულია, ორთაჭალჰესთან ღია ჭაა, წერეთელზე ასფალტი ჩავარდნილი და დეფორმირებულია, ნაძალადევის რაიონში უამრავი ორმოა.სახიფათო ქუჩების ჩამოთვლას აზრი არ აქვს, მაგრამ განსაკუთრებით საშიშია ქალაქის ძირითადი კვანძები, სადაც ავტომობილები 70კმ/სთ სიჩქარით მოძრაობენ და ავარიის საფრთხე შეუდარებლად არის გაზრდილი. მძღოლების მოულოდნელი მანევრები ან დამუხრუჭება იწვევს ავარიებს, რომელთა რაოდენობა აშკარად გაზრდილია. საუბარი აღარაა მუდმივ საცობებზე.

დედაქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურა იმდენად მოშლილია, რომ თბილისელს სავსებით ლოგიკურად შეუძლია გაუჩნდეს ეჭვი — ეს მხოლოდ გზების უხარისხოდ დაგების მიზეზი კი არა, მიზანმიმართული საბოტაჟია დედაქალაქის მერიის მხრიდან, რომელიც ოპოზიციაშია ქვეყნის მმართველ ძალასთან.

ორი თვის განმავლობაში ქართულმა მედიამ არაერთხელ იხმაურა გზების თემაზე, თუმცა თბილისის მერიისგან ნორმალური პასუხი ვერ მიიღო. მერიაში სავსებით ბუნებრივად მიიჩნევენ გზების მორყევას და ამას ხსნიან ზამთრის პერიოდითა და სიცივით. ამგვარ ახსნაზე უნებლიედ წარმოგიდგება დასავლეთი ევროპა, რომელიც გაცილებით ჩრდილოეთითაა თბილისზე, მაგრამ რატომღაც ვერ იხსენებს პარიზის, ლონდონის, ბერლნის, სტოლკჰოლმის, ოსლოს ან ჰელსინკის საგზაო კოლაფსებს. რაღა მაინცდამაინც თბილისში ახდენს სიცივე გავლენას გზებზე? საგზაო საფარი ფუჭდება სტიქიური უბედურების ან უხარისხო დაგების გამო.

უბედურებები არ ყოფილა, შესაბამისად, მიზეზი ჭიაბერაშვილისა და უგულავას მერობის პერიოდში ზარზეიმით დაგებულ-გაპიარებული გზების ხარისხია. სააკაშვილის არქიტექტურის „ფურთხით ნაშენი შედევრების“ მსგავსად, გზებიც ბუტაფორიული აღმოჩნდა, თუმცა ამის მიზეზი არა სულსწრაფობა, არამედ კორუფცია უფროა.

გზის დაგებას აქვს თავისი სტანდარტები, მაგრამ თუ ფულის შოვნა გინდა, ეს სტანდარტები უნდა დაარღვიო და ფული მოპარო ბიუჯეტს. შემდეგ კი, როცა გზა გაფუჭდება, მალევე ისევ მოითხოვ თანხას გზის რემონტისთვის და ისევ გააკეთებ ფულს. ამიტომ სიცივისა და ცუდი ამინდის მომიზეზება თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის მხრიდან უბრალოდ თბილისელების დაცინვაა. მერიას მეორე მიზეზიც ჰქონდა — საკრებულო ბიუჯეტს არ ამტიკცებს და გზების შეკეთების ფული არ გვაქვსო. ბიუჯეტი მარტის დასაწყისში დამტკიცდა და თითქმის 89 მილიონი გამოიყო გზების შეკეთებაზე. დღეს 25 აპრილია და შედეგი მხოლოდ ისაა, რომ რამდენიმე მეორეხარისხოვან უბანზე აიყარა ასფალტი, მაგრამ ახალი საფარის დაგება ან არ დაწყებულა ან დაიწყო და არ დასრულებულა. სავარაუდოდ, მიზეზად 2 დღის წინანდელ წვიმას დაასახელებენ. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს დედაქალაქის გზის საფარისთვის 47 მილიონი, ანუ დღევანდელი ბიუჯეტის ნახევარი იყო გამოყოფილი, მაშინ ამინდს ხელი არ შეუშლია სამუშაოებისთვის, რაც ხელისუფლება შეიცვალა თურმე უკვე უშლის.

ფული არის და ტექნიკაც, გზები კი არ კეთდება. რა არის მიზეზი? მოახლოებული ადგილობრივი არჩევნები ხომ არა? ნაციონალურმა მოძრაობამ იცის შავი პიარის ილეთები, ამიტომ ცდილობს მაქსიმალურად გაურთულოს თბილისელებს ქალაქში მოძრაობა და გაუჩინოს მათ მარტივი ასოციაცია — „ნაციონალების პერიოდში გზები ვარგოდა, დღეს არ ვარგა“. მათ გათვლილი აქვთ, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის ვის ეხება გზების შეკეთება და საჭიროა მხოლოდ ნეგატივის დამკვიდრება. ნაციონალური მოძრაობის მხრიდან სახელმწიფოს დაზარალება პოლიტიკური ინტერესების გამო პირველი შემთხვევა არაა, ბევრმა ისედაც კარგად იცის, რომ თბილისის საგზაო ინფრასტრუქტურის სავალალო მდგომარეობა ნაციონალების მხრიდან განხორციელებული მორიგი საბოტაჟია, მაგრამ ამ საბოტაჟის პერიოდში საფრთხე ექმნება ადამიანთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, რაც უკვე პოლიტიკა კი არა, უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია.

გოგა ხაჩიძის პროვოკაციული ექსპერიმენტი და პასუხი შინაგან საქმეთა სამინისტროდან

საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გოგა ხაჩიძემ პროვოკაციული ექსპერიმენტი ჩაატარა — დეპუტატი ამტკიცებს, რომ ღარიბაშვილი უკანონო მოსმენაში „გამოიჭირა“. იმის დემონსტრირებისთვის, რომ პარლამენტარებს უსმენენ, ხაჩიძემ ექსპერიმენტი ვიდეოკამერაზე გადაიღო: ნაციონალური მოძრაობის ოფისში, გოგა ხაჩიძემ ზურა ჯაფარიძეს დაურეკა, რომელიც იმავე ოთახში იმყოფებოდა. ოპოზიციონერებმა გაითამაშეს სატელეფონო სცენარი, თითქოს ისინი 23 აპრილს, ღარიბაშვილის საცხოვრებელ სახლთან მცირე საპროტესტო აქციის მოწყობას გეგმავდნენ. სცენარი უწყვეტი კადრით გადაიღეს. ხაჩიძის მტკიცებით, მომდევნო დღეს, ზუსტად დათქმულ დროს, დათქმულ ადგილზე, პოლიციისა და სუს-ის წარმომადგენლები მივიდნენ. ამის დასამტკიცებლად პარლამენტარმა ფოტო მასალაც გაავრცელა. მოგვიანებით, ექსპერიმენტის შესახებ Facebook-ის გვერდზეც დაწერა და სახალხო დამცველს, პარლამენტის თავმჯდომარესა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართა, დაინტერესდნენ დეპუტატების მოსმენებთან დაკავშირებით.

დეპუტატის ექსპერიმენტთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთეს შინაგან საქმეთა სამინისტროშიც. პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის, ნინო გიორგობიანის განმარტებით, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, პრემიერ-მინისტრის სახლთან შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ყოველთვის არიან მობილიზებულნი: **„ეს არის არასერიოზული ექსპერიმენტი, რადგან პრემიერის სახლთან, უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით, ყოველთვის ხდება პერიმეტრის დაცვა და იქ ყოველთვის არიან მობილიზებულნი შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები“.**

„ინტერპრესნიუსი

„ჩემი ერთადერთი მიზანია, მიხეილ სააკაშვილი მისცენ პასუხისგებაში — მე ეს შედეგი მინდა!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16



„ოცნების“ დეპუტატ **ვალერი გელაშვილის** სკანდალური საქმის გამოძიება დასრულდა. ამის შესახებ 24 აპრილს მთავარ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე გვამცნეს და სოდ-ის ერთ-ერთ მაღალჩინოსან გია სირაძესა და სოდ-ის უფროსს ერეკლე კოდუას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 237-ე და 333-ე მუხლების მიხედვით ბრალი წაუყენეს. დანაშაული თავისუფლების აღკვეთას 10-დან 14 წლამდე ითვალისწინებს, თუმცა პროკურატურაში მთავარი მოქმედი პირების — მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის შესახებ სიტყვაც არ თქმულა. ვალერი გელაშვილმა საქმის საბოლოოდ დასრულებამდე სახელმწიფო დაცვა მოითხოვა და, როგორც აღმოჩნდა, მიღებული შედეგით არცთუ კმაყოფილია. დეპუტატი პროკურატურაში ბრიფინგის გამართვამდე „ვერსიას“ მთელი ამ აჟიოტაჟის ერთადერთ მიზანსაც უმხელს: **„პროკურატურა ბრალს აუცილებლად წაუყენებს ერეკლე კოდუას, სხვა გვარები ჯერ არ ვიცი. ჩვენებაში თავიდანვე დავაფიქსირე, რომ ერეკლე კოდუა ამ საქმის მონაწილეა. ჩვენ ამოვიღეთ მისი სატელეფონო ჩანაწერები, სადაც ჩანს, სად იყო და რას აკეთებდა იგი ჩემზე თავდასხმის მომენტში. თუ კოდუას საქართველოში დაკითხვაზე ჩამოიყვანენ, არა მგონია, ეს სპეცოპერაცია საკუთარ თავზე აიღოს. იგი ხელს დაადებს ვანო მერაბიშვილს და ვანო, ავტომატურ რეჟიმში, სააკაშვილის გვარს დაასახელებს. ასეც იყო დაგეგმილი — მიშამ დავალება ვანოს მისცა, ვანომ კი სპეცოპერაცია კოდუას ჩაატარებინა. ბოლო დეტალების გასარკვევად პროკურატურაში 23 აპრილს, საღამოს კიდევ ვიყავი. ახლა მეც მოლოდინის რეჟიმში ვარ. როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა, ყვირილსა და თავხედობას ხომ არ დავიწყებდი, ჯერ ჩემი საქმე გამოიძიეთ-მეთქი. მეც ხომ უმრავლესობის დეპუტატი ვარ და ვიცი, ჯერ უამრავი სხვა საქმე იყო გამოსაძიებელი. რაღაც პერიოდის შემდეგ კი ცოტა აქტიურობა დავიწყე. ჩემი ერთადერთი მიზანია, მიხეილ სააკაშვილი მისცენ პასუხისგებაში — მე ეს შედეგი მინდა! სააკაშვილი იყო ყველაფრის თავი და შემკვეთი, დანარჩენი პირების არც ინტერესი მაქვს და არც დიდი პრეტენზიები, ისინი, უბრალოდ, მიშას დავალებებს ასრულებდნენ“.**

პროკურატურაში ჩატარებული ბრიფინგის შემდეგ ვალერი გელაშვილი „ვერსიას“ კვლავ ესაუბრა და კიდევ უფრო სკანდალური განცხადება გააკეთა — გაჩერებას არ აპირებს და ცოტა ხანში, ფულადი კომპენსაციის მოთხოვნით, კიდევ ერთი სარჩელის შეტანას გეგმავს: **„თუ სირაძე და კოდუა არ დაკითხეს, სააკაშვილზე ვერ გავლენ. ამ პირებს საქართველოში ან ჩამოიყვანენ, ან ისინი თვითონ ჩამოვლენ, აბა, ამხელა პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება რაში აწყობთ. თუ უნდათ, 14-წლიანი პატიმრობა არ „მიიკერონ“, ჩემი რჩევაა, თავად ჩამოვიდნენ, ბრალი აღიარონ და პროკურატურასთან შეთანხმებაზე წავიდნენ. ეს მათი სამსახური იყო და ძალაუნებურად, მაინც სააკაშვილის დავალებას ასრულებდნენ. ვფიქრობ, სააკაშვილის გამო ამხელა ბრალეულობის თავზე აღება არ უნდა უღირდეთ. ძალიან კარგია, რომ საქმე გაიხსნა და ჩემზე თავდასხმაში სახელმწიფო პირები დაადანაშაულეს. რასაც ვამბობდი, დადასტურდა და გაქარწყლდა ეჭვები, თითქოს 2005 წელს მომხდარი ამბავი უბრალო ქუჩის გარჩევა იყო... მანქანიდან ფული და სხვადასხვა ნივთები კი გაიტაცეს, თუმცა იმის შემდეგ ჩემზე უარეს ზეწოლას ახდენდნენ. ჩემ საწარმოს უზარმაზარი ზარალი მიაყენეს. საქმე ეხება ჩემ ლიტვურ კომპანიას. ამ ქარხანაში 6 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია ჩავდე, ამიტომ, როცა თავდასხმის საქმეზე სასამართლო პროცესები დამთავრდება, საქალაქო სასამართლოში ზარალის ანაზღაურების მიზნით სარჩელს შევიტან. ამ ქარხანასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესები ადრეც მიდიოდა, მაგრამ ხელოვნურად წამაგებინეს. კვლავ მიხეილ სააკაშვილს ვედავები — ის იყო სახელმწიფოს მეთაური და ყველაფერზე პასუხს აგებდა. ჩემი ოჯახის ფული წამართვა მაშინ, როცა გადასახადების პატიოსანი გადამხდელი ვიყავი. ზუსტი თანხა არ ვიცი, ამიტომ ზარალს პროფესიონალი აუდიტორები დაითვლიან და თანხის ოდენობაც დაზუსტდება, თუმცა წინასწარ გეტყვით, საუბარია რამდენიმე მილიონზე — მინიმუმ 6-ზე, რადგან, როცა ეს ინვესტიცია დიდი ხნის წინ ჩავდე კომპანიაში, შესაბამისად, დღეს ეს ფული რამდენჯერმე გაზრდილი იქნება. თანხა ჩემთვის მაინც მეორეხარისხოვანია — ამ საქმის გახსნას ვერანაირი თანხით ვერ განვსაზღვრავ“.**

ბიზნესმენი ვალერი გელაშვილი 2005 წლის 14 ივლისს სასტიკად სცემეს. თავდასხმის მიზეზი ექსპრეზიდენტ სააკაშვილის ავლაბრის რეზიდენციასთან დაკავშირებული სკანდალი გახდა. მის სამშენებლო კომპანია „ევრას“ სააკაშვილმა რეზიდენციის მშენებლობა შეუკვეთა, თუმცა მოგვიანებით, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე უარი განაცხადა და გელაშვილს თაღლითი აქეთ ეძახა. მოგვიანებით, ბიზნესმენს ნიღბიანი პირები სამტრედიის ქუჩაზე დახვდნენ და სასტიკად გაუსწორდნენ. მომხდარს ყაჩაღობის ელფერი მიეცა, რადგან ნიღბიანებმა ფული და გელაშვილის კუთვნილი იარაღი გაიტაცეს, თუმცა მაშინდელი ოპოზიციაცა და თავად გელაშვილიც სააკაშვილის მიერ დაგეგმილ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბრობდნენ. ვიდრე საქმის გამოძიება დაიწყებოდა, „ვერსიას“ ამ თემაზე ექსკლუზიური ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ ვენესუელიდან საქართველოში დაბრუნებულმა გელაშვილმა მისცა და მიხეილ სააკაშვილთან ძველი დაპირისპირების დეტალები გაიხსენა. როგორც ირკვევა, დეპუტატს პროკურატურისთვისაც დაახლოებით იგივე შინაარსის ჩვენება აქვს მიცემული.

აი, რას ამბობდა ვალერი გელაშვილი ჯერ კიდევ 2 წლის წინ:

„თავის დროზე, ავლაბრის სასახლის ტერიტორიაზე ნაყიდი მქონდა მიწის ფართი, რომლის გაყიდვაც სააკაშვილის ხელისუფლებამ მაიძულა იმ პირობით, რომ ავლაბრის რეზიდენციის მშენებლობა ისევ ჩემს სამშენებლო კომპანიას უნდა განეხორციელებინა. სამუშაოები დავიწყეთ. ამ საქმეში საკმაო ფული უკვე დახარჯული გვქონდა, მაგრამ სააკაშვილმა, გარკვეული პერიოდის შემდეგ ანაზღაურებაზე უარი განაცხადა“. მაშინ ხმაც გავრცელდა, რომ გელაშვილზე თავდასხმა სააკაშვილმა პირადი შურისძიების მოტივით დაგეგმა და გელაშვილს მის წინააღმდეგ მიცემული რამდენიმე ინტერვიუ არ შეარჩინა: **„სასწაულია, მაშინ საერთოდ ცოცხალი რომ გადავრჩი. სააკაშვილის ბრძანებით, ნიღბიანებმა თავის ქალა გამიტეხეს და ტვინში სისხლი რომ ჩამქცეოდა, დამთავრებული ამბავი იყო. სახეზე არაერთი დაზიანება მივიღე... ვიცოდი, ჩემი დაინვალიდება იგეგმებოდა. ჩემ წინააღმდეგ სპეცოპერაცია სააკაშვილმა მერაბიშვილს, მერაბიშვილმა კი სოდ-ს დაავალა...“** გელაშვილი-სააკაშვილის ურთიერთობა 2005 წელს ამით არ დასრულებულა. როგორც დეპუტატი იხსენებდა, სააკაშვილმა მას რაღაც თანხა მაინც გადაუხადა: **„ბოლოს, 2006 წელს, მიშა სააკაშვილმა თავისი ხელით გადამიხადა 2 მილიონი რეზიდენციის მშენებლობისთვის! მანამდე მახსოვს, ბანდიტიც მიწოდა. ფული რომ წავართვი და არ შევარჩინე, იმიტომ?! ვაი, მაგან რომ თქვას, გელაშვილი პატიოსანი კაციაო, ეგ უნდა მეწყინოს, თორემ თაღლითსა და ბანდიტს რომ მეძახის, ჩემთვის დადებითი შეფასებაა. ჭირივით მეჯავრება სააკაშვილი და ვიცი, მასაც ძალიან „ვუყვარვარ“! ეგ ნაძირალა კაცი თაღლითს თუ დაგიძახებს, პლუსია, აბა, რა არის! ჩემს წინააღმდეგ ხელმოწერებსაც ეგენი აგროვებენ ხაშურში — როგორც შევარდნაძის პერიოდში იქცეოდნენ ეს ნაძირლები, ახლაც ზუსტად ისე იქცევიან. მაშინაც მათ ოპოზიციაში ვიყავი, 1999 წელს. ჰოდა, საკუთარ სახლში რომ მივდიოდი, ვილნიუსში, აყვირდებოდნენ, გაიქცა გელაშვილიო. ეგრე ყვიროდნენ ყველა ჩემ წასვლა-წამოსვლაზე და იგივეს აკეთებენ ახლაც... ხაშური არასოდეს მიმიტოვებია და ჩემ სამშენებლო ფირმა „ევრაშიც“, ძირითადად, ხაშურელები მყავს დასაქმებული...“** მიხეილ სააკაშვილის მიერ გელაშვილის ლიკვიდაციის ბრძანებაზე დეპუტატი „ვერსიასთან“ უშუალოდ საპარლამენტო არჩევნების დღესაც ალაპარაკდა, როცა ხაშურის საარჩევნო ოლქში კვლავ ნიღბიანები შეიჭრნენ: **„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რაც ხაშურში მოხდა, ეს კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილის დაკვეთა იყო. იყო მუქარა სააკაშვილისგან, დაგიჭერ და ციხეში დაგალპობ, შენი აქტივისტებიანადო. ინფორმაციაც მოვიდა ჩემამდე, რომ სპეცოპერაციის მომენტში, როცა უბანზე სპეცნაზი იყო მობილიზებული, ჩემი ლიკვიდაცია სურდათ. არსებობდა ბრძანება, რომ ამ არეულობით უნდა ესარგებლათ და ჩემთვის ტყვია ესროლათ. ეს, რა თქმა უნდა, სააკაშვილის პირდაპირი ბრძანება იყო მიშა სააკაშვილს დიდი ხანია, მოსაკლავად ვუნდივარ!“**

დეპუტატის ბრალდებებს ჯერ კიდევ პროკურატურის განცხადებამდე კოდუას მეუღლე, ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანიც გამოეხმაურა და გელაშვილს არაერთი ბრალდება წაუყენა — გელაშვილი რუსეთის აგენტია, ლიტვაში მას დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან კავშირში ამხელენ, გელაშვილი ბორდელების ბიზნესს ლობირებს და ა.შ. თუმცა ამ ბრალდებებზე პასუხების ამოკითხვა ჯერ კიდევ 2 წლის წინ „ვერსიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იყო შესაძლებელი. მაშინ ხმა გავრცელდა, თითქოს ვალერი გელაშვილს ვენესუელას მთავრობა „პროსტიტუციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის გამო ეძებდა“, თუმცა, როგორც დეპუტატმა განმარტა, იგი ლამის საპატიო მოქალაქედაა აღიარებული, რადგან ადგილობრივ ბიზნესში 7 მილიონ დოლარზე მეტი ჩადო. გელაშვილმა აღნიშნა, რომ კოდუა მისი ინტერესებისა და „პრეტენზიების“ სფეროში არ არის, სააკაშვილზე გასვლის მისეული სქემა კი მარტივია — ძებნილ კოდუას საქართველოში ჩამოიყვანენ. ყოფილი მაღალჩინოსანი ხელს ციხეში მჯდომ ვანო მერაბიშვილს დაადებს და ბრალს დაუმძიმებს, ხოლო თავის მხრივ, ვანო მერაბიშვილი ყოფილ პრეზიდენტს ამხელს გელაშვილზე თავდასხმაში.

ვერსიანიუსი

პირობით მსჯავრდებულები დასაქმდნენ

პრობაციის ეროვნული სააგენტოს დახმარებით, თბილისში, რუსთავსა და დუშეთის რაიონში კიდევ ოთხი პირობით მსჯავრდებული დასაქმდა. სასჯელაღსრულების სამინისტროში აცხადებენ, რომ **„სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული კ. თ, პირობითი მსჯავრის მოსახდელად თბილისის პრობაციის ბიუროში დადგა აღრიცხვაზე. მასთან ინდივიდუალური მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ პრობაციონერს მშენებლობაზე მუშაობის გამოცდილება ჰქონდა და სამუშაოს ეძებდა. თბილისის პრობაციის ბიუროს შუამდგომლობით, კ. თ. სამშენებლო კომპანია „ანაგში“ დასაქმდა, სადაც დღიური შემოსავალი 20 ლარით განისაზღვრა“.**

უწყებისვე განმარტებით, რისკისა და საჭიროებების შეფასების პროცესში ასევე დასაქმების საჭიროება გამოუვლინდათ პირობით მსჯავრდებულებს — დ. ჯ-ს და ქ. ო-ს. ქვემო ქართლის პრობაციის ბიურომ მათ რეკომენდაცია გაუწია, ემუშავათ რუსთავში არსებულ პურის საცხობში, რომლის მეპატრონე ასევე პირობით მსჯავრდებულია. პრობაციონერები ყოველდღიურად 20 ლარის გამოიმუშავებენ: **„მცხეთა-მთიანეთის პრობაციის ბიუროს შუამდგომლობით, დუშეთის რაიონის სოფელ პირმისაანთკარში მიმდინარე წყალმომარაგების შიდა ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოებზე დასაქმდა პირობით მსჯავრდებული ჯ. ს. იგი ყოველდღიურად 10 ლარს გამოიმუშავებს. ამასთან, დასაქმებულის კვებას დამსაქმებელი უზრუნველყოფს“.**

„ინტერპრესნიუსი“

ახალაიას ქართველი კრიმინალებიც ემუქრებიან

რა შემთხვევაში გადმოსცემს საბერძნეთი საქართველოს ინტერპოლით ძებნილ ყოფილ მაღაღჩინოსანს

გიორგი იაშვილი

საბერძნეთის ქალაქ პეტრაში დაკავებული დათა ახალაია, პირველ რიგში, ქართველი სამართალდამცავების უნიათობის კიდევ ერთი დადასტურება გახდა. კაცი, რომელიც, გვარწმუნებენ, რომ წითელი ცირკულარით იძებნება, თავისუფლად მოგზაურობს და რაც მთავარია, ეს მისი პირველი ვოიაჟი არ იყო. თურქეთსა და საბერძნეთს შორის ახალაია კვირაში ერთხელ დადიოდა და, როგორც გავიგეთ, საბოლოო მიზნად ესპანეთში წასვლა და პოლიტიკური თავშესაფრის ოფიციალურად მოთხოვნა ჰქონდა გადაწყვეტილი. ამისთვის ის კარგა ხნის განმავლობაში ემზადებოდა, მაგრამ მთავარი პრობლემა ის ფინანსები გახლდათ, რომლის გატანაც ესპანეთში სურდა. საბანკო ანგარიშებიდან ფულის გატანა იოლი საქმე არ იყო — დააკავებდნენ, ამიტომ ცდილობდა, თანხა სხვის ანგარიშზე გადაერიცხა და შემდეგ მიეღო.

ყალბი საბუთები, რომელიც, საბოლოოდ, ახალაიას დაკავების მიზეზი გახდა, თურქეთში დაუმზადეს, მაგრამ იმ თურქული შოკოლადივით უხარისხოდ, აგერ უკვე 20 წელზე მეტია რომ მივირთმევთ. ახალაიას დაკავება ჩვენი ხელისუფლებისთვის იყო სიურპრიზი, თორემ საბერძნეთში მყოფმა ქართველმა კრიმინალებმა უკვე მეორე დღეს იცოდნენ, რომ კუდ-ის ყოფილი შეფი დაიჭირეს. საბერძნეთის ქალაქები ქართველი კანონიერი ქურდებისა და კრიმინალური ავტორიტეტების სათარეშო კარგა ხანია გახდა, თუმცა იქაური ხელისუფლება მათ სათავისოდ გამოყენებას ცდილობს და ახერხებს კიდეც. მოგეხსენებათ, თავის დროზე საბერძნეთი საპროტესტო აქციებმა წალეკა, მაგრამ დაფიქრდით და გაიხსენეთ, როდის იყო ბოლოს ელადაზე ფართომასშტაბიანი აქცია და ეს სწორედ ქართველ კრიმინალთა დამსახურებაა. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ცნობილი ქართველი კანონიერი ქურდის, ლაშა შუშანაშვილის უახლოესი გარემოცვის წევრია, ვესაუბრეთ და სწორედ მისგან შევიტყვეთ, რა და როგორ მოხდა.

— დათა ახალაია რომ დააკავეს, უკვე მეორე დღეს ვიცოდით. მასთან ერთად კიდევ რამდენიმე ქართველი არალეგალი დააპატიმრეს და სწორედ მათ იცნეს იგი. შენობაში, სადაც ქართველები ერთად ჰყავდათ, დაპირისპირებაც მოხდა — ქართველებმა დათაზე გაიწიეს და სწორედ ამის შემდეგ თქვა ახალაიამ, ვინც იყო. საბერძნეთის ხელისუფლებამ დუმილი არჩია, რადგან ახალაიამ თქვა, თუ საბერძნეთში დარჩენის უფლებას მომცემთ, არაერთ ათეულ მილიონს ამ ქვეყნის ეკონომიკას მოვახმარო. მოლაპარაკებები გაიწელა. პარალელურად ვცდილობდით, ახალაია არალეგალთა თავშესაფრიდან როგორმე ციხეზე გადაეყვანათ, იქ კი უკვე ჩვენ მივხედავდით...

— რას ნიშნავთ „მიხედავდით“?

— ციხის ბუნტის დროს დათამ და მისმა ძმამ პატიმრები დახოცეს. იმ ბუნტის დროს გადარჩენილი რამდენიმე კაცი საბერძნეთში ახლაც არის და სწორედ ისინი იწვევდნენ დათაზე. ორმა მათგანმა წვრილმანი ხულიგნობაც ჩაიდინა და 6-თვიანი „სროკებით“ ციხეში წავიდნენ, რათა დათას დახვედროდნენ. არ ვიცი, რა მოხდა, რაზე ვერ შეთანხმდნენ მხარეები, მაგრამ ფაქტია, რომ ახალაიას ციხეზე გადაყვანა გადაწყდა და სწორედ ამის შემდეგ მოითხოვა მან თავშესაფარი. როცა კაცი პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს, ციხეზე აღარ მიჰყავთ, ცალკე შენობაა და იქ ჰყავთ. ასეა დათაც, მაგრამ როდემდე დაიმალება?! ან საქართველოს გადმოსცემენ, ან პოლიტიკურ თავშესაფარს მისცემენ და საბერძნეთში იცხოვრებს, რა თქმა უნდა, თუ ამის შესაძლებლობას მივცემთ.

— ჩვენი ინფორმაციით, ეს არ იყო ახალაიას პირველი ვიზიტი საბერძნეთში. თუ ასე აკონტროლებთ ვითარებას, მანამდე ვერ შეიტყვეთ მისი ჩამოსვლის შესახებ?

— ვიცოდით, მაგრამ გარდა იმისა, რომ ყალბი საბუთებით მოძრაობდა, წვერი ჰქონდა მოშვებული. ეს ის ახალაია აღარ არის, თქვენ რომ გახსოვთ, მოსუქებული და ცხოვრებით კმაყოფილი. მასე თურქეთშიც ვეძებთ სოსო თოფურიძეს, სოჭში მეგის ქარდავას, საფრანგეთში მუხაძეს, მაგრამ ჯერ ვერ ვპოულობთ.

— რომელ მუხაძეს?

— „ქილერას“, გლდანის ციხის ყოფილ უფროსს. საფრანგეთშია და, როგორც ვიცით, გია უდესიანი კვებავს. ეს ხელისუფლებამაც იცის, მაგრამ არ ვიცი, რატომ და რისთვის არ მოქმედებს. კეზერაშვილის გადმოცემას რომ ვერ „გააპრავებ“, რაღაზეა ლაპარაკი. ისე, „კეზერა“ ისეთი დაცვით მოძრაობს, საფრანგეთის პრეზიდენტს რომ არ დაესიზმრება, მაგრამ დანარჩენები დაცვის გარეშე დადიან. დაზუსტებით გეტყვით, რომ ხელისუფლება ვერც ახალაიას ექსტრადირებას მოახერხებს, რადგან მისი ადვოკატები აქ ერთი თვეა მუშაობენ და ყველა დოკუმენტი მზად აქვთ. საქართველოში კი ახლა გაიღვიძეს და სანამ გამოიფხიზლებენ, აქ შეიძლება სასამართლოც ჩატარდეს უკვე...

შევეცადეთ გაგვერკვია, რა შემთხვევაში დათანხმდება ბერძნული მხარე ახალაიას ექსტრადიციას. იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე არგუმენტირებულად დაასაბუთებს, რომ ახალაიას მოთხოვნა უსაფუძვლოა, საბერძნეთი ვალდებულია დათა ახალაია, როგორც ინტერპოლით ძებნილი პირი, ქართულ მხარეს გადმოსცეს. როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყანა, საბერძნეთი უდანაშაულობის პრეზუმპციის დაცვის მაღალი სტანდარტებით ხელმძღვანელობს. ამ ყველაფერს „ექსტრადირების შესახებ“ კონვენცია არეგულირებს. შესაბამისად, ყველაფერი მტკიცებულებების ხარისხზეა დამოკიდებული და კეზერაშვილის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ახალაიას დადანაშაულება გაჭირდება. მის წისქვილზე ისიც ასხამს წყალს, რომ ბაჩანა ახალაია დაჭერილია, ხოლო მამამისს პარლამენტარის იმუნიტეტს უხსნიან და იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ყველამ ყველაფერი იცის, ამის ახსნა ევროპელებისთვის ძნელი იქნება.

სხვათა შორის, საბერძნეთში მყოფი ქართველი კრიმინალის მიერ ნახსენები მეგის ქარდავა აფხაზეთის ტერიტორიიდან სამეგრელოში რამდენჯერმე შევიდა და ამას საზღვართან ახლოს მცხოვრები მეგრელებიც არ მალავენ. მეტიც, ცოტა ხნის წინ, ჩვენმა ხელისუფლებამ ქარდავას სპეცდანიშნულების რაზმის რამდენიმე წევრიც დაადევნა, მაგრამ აფხაზური მხრიდან ქართველებს ცეცხლი გაუხსნეს და დევნაც შეწყდა.

მოკლედ, ახალაიას საქმე იუსტიციის მინისტრისთვის კიდევ ერთი გამოცდაა და თუ მის ჩაბარებასაც დონდოლაძის დარი პროკურორებით აპირებს, ახლავე შეიძლება თქმა, რომ არაფერი გამოუვა. საბერძნეთში მყოფი კრიმინალების მუქარა კი ცოტა არ იყოს, არადამაჯერებლად ჟღერს. მათ რომ რამის სურვილი და შესაძლებლობა ჰქონოდათ, აქამდეც მოახერხებდნენ რამეს, თუმცა კრიმინალურ სამყაროში ისე არასოდეს წვიმდა, როგორც მათი სახელი ქუხდა.

ცესკო-მ საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი წარადგინა

მერის კანდიდატად ჯერჯერობით მხოლოდ გელა საღუაშვილია დარეგისტრირებული

რუსუდან შელია
557-100-768

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ორ თვეზე ნაკლები რჩება. არჩევნებზე საქართველოს მასშტაბით, 71 საკრებულოში, 2 088 წევრი, 12 ქალაქის მერი და 59 მუნიციპალიტეტის გამგებელი აირჩევა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანონმდებლობით გაწერილი საარჩევნო პროცედურების განხორციელება უკვე დაიწყო და საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკიც დაამტკიცა, სადაც დეტალურადაა აღწერილი კომისიის მიერ განსახორციელებელი თითოეული აქტივობა. კერძოდ, 14 აპრილიდან წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო, 19 აპრილს კი პარტიების მიერ რეგისტრაციისთვის მიმართვის ვადა ამოიწურა. რაც შეეხება საინიციატივო ჯგუფებს, მათთვის განაცხადის შეტანის საბოლოო თარიღად 26 აპრილი განისაზღვრა.

3-დან 9 მაისამდე საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია სრულდება. კერძოდ, ცესკო-ს მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ, შექმნან საარჩევნო ბლოკი ან გავიდნენ პოლიტიკური გაერთიანებიდან, თუმცა ამის შესახებ პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება საარჩევნო ადმინისტრაციის თავმჯდომარეს უნდა წარუდგინონ.

16 მაისს პარტიებმა და ბლოკებმა საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობისთვის პარტიული სიები და მაჟორიტარი კანდიდატები უნდა წარადგინონ — მაჟორიტართა წარდგენის უფლება საინიციატივო ჯგუფებსაც აქვთ. 16 მაისს პარტიების/ბლოკების მიერ მერებისა და გამგებლების კანდიდატთა წარდგენის ვადაც იწურება. იმავე დღეს ბიულეტენზე საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერიც განისაზღვრება.

22 მაისს მერობისა და გამგებლობის კანდიდატთა, ხოლო 23 მაისს საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადა იწურება. ამ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა თბილისის მერობის კანდიდატები დააანონსეს, თბილისის მერის არჩევნებში ოფიციალურად, ჯერჯერობით, მხოლოდ გელა სალუაშვილი დარეგისტრირდა.

კანდიდატებს არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა 5 ივნისამდე შეეძლებათ, თუმცა, თუ კანდიდატურებს 5 ივნისის შემდეგ მოხსნიან, მათი გვარები საარჩევნო ბიულეტენებში მაინც დარჩება.

5 ივნისამდე ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა რეგისტრაციისთვის საარჩევნო ადმინისტრაციებს უნდა მიმართონ. 8 ივნისს კი საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს რეგისტრაციისთვის ცესკო-სთვის მიმართვის ვადა ეწურებათ. ცესკო ვალდებულია, რეგისტრაციის წარმდგენი ორი დღის ვადაში ან დაარეგისტრიროს ან უარი უთხრას.

13 ივნისის 08:00 საათიდან 15 ივნისის 20:00 საათამდე, როდესაც კენჭისყრა სრულდება, პოლიტიკური რეიტინგების გამოქვეყნება იკრძალება.

15 ივნისს, არჩევნების დღეს, საარჩევნო უბნებზე კენჭისყრა 08:00 საათზე იწყება და 20:00 საათზე სრულდება, რასაც ხმების დათვლის პროცედურა მოსდევს. ამ დღეს კენჭისყრის შენობაში წინასაარჩევნო აგიტაცია აკრძალულია. ტელევიზიებსა და რადიოებში საარჩევნო რეკლამის გაშვებაც იკრძალება.

საოლქო საარჩევნო კომისიები არაუგვიანეს 26 ივნისისა საკრებულოსა და მერის/გამგებლის არჩევნების შედეგებს აჯამებენ და შემაჯამებელ ოქმებს ცესკო-ს გადასცემენ. არჩეული კანდიდატების უფლებამოსილების ვადა შემაჯამებელი ოქმის შედგენიდან მე-11 დღეს, ანუ 7 ივლისს იწყება.

თბილისის მერისა და საკრებულოს არჩევნების შედეგებს თავად ცესკო 9 ივლისამდე შეაჯამებს.

იმ შემთხვევაში თუ მერობის და გამგებლობის კანდიდატები არჩევნების დღეს ხმათა 50%-ზე მეტს ვერ დააგროვებენ, ცესკო გამარჯვებული კანდიდატის გამოსავლენად მეორე ტურს დანიშნავს, რომელიც განკარგულების მიღებიდან ორ კვირაში უნდა გაიმართოს. საჭიროების შემთხვევაში, მეორე ტურები ივლისში გაიმართება.

„აეროფლოტი“ თბილისში რეისებს აღარ განაახლებს

„ტურბიზნესის“ ინფორმაციით, რუსული ავიაკომპანია „აეროფლოტი“ თბილისში რეისებს აღარ განაახლებს. გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ „აეროფლოტს“ ურჩია, თავი შეეკავებინა საქართველოში რეგულარული რეისებისგან, რის მიზეზადაც უწყება მგზავრთა არასაკმარის რაოდენობას მიიჩნევს. ამასთან დაკავშირებით, „აეროფლოტის“ რეისები საქართველოში გაურკვეველი ვადით გადაიდო.

როგორც „ტურბიზნესი“ აღნიშნავს, ავიაბილეთების მაღალი ფასი – 28 ათასი რუბლი ხელს უშლის რუსეთის ტურისტული ბაზრის განვითარებას საქართველოს მიმართულებით. **„როგორც ჩანს, „აეროფლოტის“ უარი პოლიტიკურ მიზეზებს უკავშირდება“,** — აცხადებს რუსული კომპანია თრაველსყსტემ-ის დირექტორი ირინა ლურიე.

„ინტერპრესნიუსი“

პარლამენტარების ბიზნესწილების სკანდალური სია

მაია მიშელაძე
593-51-90-12

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ მერვე მოწვევის პარლამენტის პირველი წლის მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა. როგორც ირკვევა, პარლამენტის 43 წევრი, 2012 წლის ოქტომბრიდან ფლობდა ან ისევ ფლობს ბიზნესწილებს სხვადასხვა კომპანიაში. მათგან 28 საპარლამენტო უმრავლესობის, 9 უმცირესობის, ხოლო 6 დამოუკიდებელი დეპუტატია. საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატებს — ზვიად კვაჭანტირაძეს, გოგი თოფაძესა და თამაზ ავდალიანს არა მარტო წილები აქვთ ბიზნესში, პარლამენტში საქმიანობის პარალელურად, ისინი კომპანიების დირექტორები არიან, რისი უფლებაც კანონით არ აქვთ.

დადგება თუ არა 43 დეპუტატის პასუხისმგებლობის საკითხი

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, პარლამენტის წევრს სამეწარმეო საქმიანობა ეზღუდება. კერძოდ, დეპუტატი ვალდებულია, უფლებამოსილების განხორციელების დაწყების მომენტიდან, სტატუსის შეუსაბამო, მათ შორის სამეწარმეო საქმიანობა შეწყვიტოს, ამის დამადასტურებელი ცნობა კი 7 დღის ვადაში, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს უნდა წარუდგინოს. მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატს სამეწარმეო საქმიანობა ეკრძალება, უფლება აქვს, ბიზნესაქტივებს ფლობდეს, როგორიცაა ბიზნესკომპანიის წილები ან აქციები. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევარებმა, რომლებიც ინფორმაციას მეწარმეთა და არასამეწარმეო ან არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრიდან იღებენ, სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით ის კომპანიები მოიძიეს, რომლებთანაც 2012 წლის ოქტომბრიდან პარლამენტარებს ამა თუ იმ ფორმით ჰქონდათ ან ახლაც აქვთ კავშირი.

ამ დეპუტატთაგან ერთ-ერთი ზვიად კვაჭანტირაძეა, რომელიც რეესტრის უკანასკნელი ჩანაწერით, დღემდე სააქციო საზოგადოება „გოლდენ ფლის გრუპისა“ და შპს „უნიონ კრედიტის“ დირექტორია. პარლამენტარი გიორგი თოფაძე, 2013 წლის 18 ივნისამდე, შპს „ყაზბეგი 2005“-ის, ხოლო 2013 წლის 19 ივნისამდე — შპს „ყაზბეგი-ნაყინის“ დირექტორი იყო. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა თამაზ ავდალიანის ჩანაწერებშიც, რომელიც 2013 წლის 10 იანვრამდე, შპს „ასკო ლტდ“-ის დირექტორი იყო, არადა, ავდალიანი პარლამენტის წევრი 2012 წლის 21 ოქტომბერს გახდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ანალიტიკოსმა, **ლევან ნატროშვილმა** „ვერსიას“ განუმარტა, რომ ეს პირდაპირ არაა დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი: **„შესაძლოა, ეს კომპანიები საერთოდ არ ახორციელებენ საქმიანობას ან დეპუტატების დირექტორობა მხოლოდ რეესტრში დაფიქსირებული ჩანაწერით შემოიფარგლება. საქართველოს კანონმდებლობით, დეპუტატს უფლებამოსილება შეიძლება შეუწყდეს მხოლოდ მაშინ, თუ რეალურად ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ამიტომ საჭიროა, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა ეს ფაქტები შეისწავლოს და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემდეგ, კანონით გათვალისწინებული ზომები მიიღოს. მოვუწოდებთ კომიტეტსა და დეპუტატებს, უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინონ ამ საკითხების მიმართ და ზედმიწევნით მისდიონ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რადგანაც თუნდაც ფორმალური მოთხოვნების დაუცველობამაც კი შესაძლოა საზოგადოების ლეგიტიმური ეჭვი გამოიწვიოს“.**

რაც შეეხება ზვიად კვაჭანტირაძეს, გოგი თოფაძესა და თამაზ ავდალიანს, რომლებიც დეპუტატობის პარალელურად, კომპანიების დირექტორებიც არიან, ლევან ნატროშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ მათი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს და გამორიცხული არ არის, ამ დეპუტატებს უფლებამოსილებაც შეუწყდეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ანალიტოკოსებმა „ვერსიას“ იმ დეპუტატების სიაც გადასცეს, რომლებიც სხვადასხვა კომპანიებში წილებს დღემდე ფლობენ:

საპარლამენტო უმცირესობის წევრი აკაკი ბობოხიძე, შპს „ორიონში“ 50%-იან წილს ფლობს; უმრავლესობის წევრი გელა სამხარაული, შპს „დია ალავერდში“ 100%-იან წილს, შპს „დუტა ენდ ეფ“-ში 22%-იან წილს, შპს „ვერა 2011“-ში 30%-იან წილს, შპს „დია გრუპ“-ში ფლობს 33.33%-იან წილს; უმრავლესობის წევრი გიგლა აგულაშვილი, შპს „პოლიტტექნოლოგიების ლაბორატორიაში“ — 100%-იანი წილის და შპს „მწვანე კალათაში“ 31.5%-იანი წილის მფლობელია; უმრავლესობის დეპუტატი გოგი თოფაძე, შპს „ქართუ უნივერსალში“ — 100%-იან წილს, შპს „იორის ჭალებში“ — 17%-იან წილს, შპს „კალვეში“ — 20%-იან წილს, შპს „ცხრაწყარო 2007“-ში — 30%-იან წილს, შპს „სამგორში“ — 33.4%-იან წილს, შპს „კურორტი ბაკურიანში“ — 45%-იან წილს, შპს „ყაზბეგი ფშალველში“ — 10%-იან წილს, შპს „წარაფი 98“-ში — 13%-იან წილს, შპს „თრუსოში“ — 21%-იან წილს, შპს „თერჯოლა 2007“-ში — 34%-იან წილს, შპს „ბარი ყაზბეგი-ლომთაგორაში“ — 38%-იან წილს, შპს „ყაზბეგი 2005“-ში — 40%-იან წილს ფლობს და ამავე კომპანიის დირექტორი იყო 2013 წლის 18 ივნისამდე, შპს „ვეტპრეპარატში“ — 50%-იან წილს, შპს „ყაზბეგი ბაკურიანში“ — 99%-იან წილს, შპს „თრიალეთში“ — 80%-იან წილს, შპს „ყაზბეგი 1881“-ში — 24%-იან წილს და შპს „ყაზბეგი ნაყინში“ — 25%-იან წილს ფლობს, რომლის დირექტორი იყო 2013 წლის 19 ივნისამდე. მართალია, გოგი თოფაძემ ორივე კომპანიის — „ყაზბეგი 2005“-სა და „ყაზბეგი ნაყინის“ დირექტორის პოსტი 2013 წელს დატოვა, მაგრამ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან ის საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის დეპუტატია და „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მისი საკითხი საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მაინც უნდა შეისწავლოს. საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი გიორგი კახიანი, რომელიც საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარეა, შპს „გლობალ ბრენდში“ — 25%-იან წილს, შპს „ბელელში“ — 33.34%-იან წილს ფლობს; უმრავლესობის წევრი გიორგი ჟვანია, შპს „ბოსნერში“ — 100%-იან, შპს „ბი ემ სი“-ში კი — 20%-იან წილს ფლობს; უმრავლესობის წევრი გიორგი ცაგარეიშვილი შპს „ყაზბეგი ტობაკოში“ 0.7%-იანი წილის მფლობელია; დამოუკიდებელი დეპუტატი გოდერძი ბუკია, შპს „სისტემ ნეტში“ 3.66%-იან წილს ფლობს; დამოუკიდებელი დეპუტატი გოჩა ენუქიძე; შპს „იბერკომპანი ოილში“ 100%-იან წილს, შპს „იტა სერვისში“ 25%-იან წილს, შპს „იბერკომპანი ირაოში“ 80%-იან წილს, შპს „გალაქტიონი 3“-ში 50%-იან წილს, შპს „კრისტალვილში“ 50%-იან წილს, შპს „იბერკომპანიში“ 100%-იან წილს, შპს „სითი სპორტში“ 17.5%-იან წილს, შპს „სპორტ კლუბ ოლიმპში“ 18%-იან წილს, შპს „გლობალ თრეიდინგ კომპანიში“ 33.34%-იან წილს, შპს „ჯეოტრინიკი 2007“-ში — 80%-იან წილს, შპს „იბერკომპანი ჰოლდინგში“ 80%-იან წილს ფლობს; უმრავლესობის წევრი ვახტანგ ხმალაძე, შპს „თბილისის საარბიტრაჟო პალატაში“ ფლობს 35.7%-იან წილს; უმცირესობის წევრი ზაზა კედელაშვილი, შპს „ტრანს ექსპერიმენტში“ 5%-იან წილს, შპს „ზაკ“-ში 33.34%-იან წილს, შპს „ზედაზენი იმერეთში“ 5%-იან წილს ფლობს; უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი, შპს „ადვოკატები რეპრესირებულთათვის“ 40%-იან წილს, შპს „მიგრანტთა საადვოკატო ბიუროში“ — 55%-იან წილს, შპს „ქეი ენდ ქეი ქონსალთინგში“ 60%-იან წილს ფლობს; უმრავლესობის წევრი ზვიად კვაჭანტირაძე, ს/ს „გოლდენ ფლის გრუპის“ დირექტორია, შპს „მაკროს კრედიტში“ — 25%-იან წილს, შპს „იუნიონ კრედიტში“ — 25%-იან წილს ფლობს და ამავე კომპანიის დირექტორია; უმრავლესობის წევრი ზურაბ ტყემალაძე, შპს „საამოში“ 11%-იან წილს, შპს „აგუნაში“ — 27%-იან წილს ფლობს; უმრავლესობის წევრი თამაზ ავდალიანი, შპს „ასკო ლტდ“-ში — 50%-იან წილს ფლობს და ამავე კომპანიის დირექტორია; უმრავლესობის წევრი თამაზ ყაჭეიშვილი, შპს „ხარისხში“ — 25%-იან წილს, შპს „ნუგო“-ში — 10.88%-იან წილს, შპს „სამეგობროში“ — 5%-იან წილს, შპს „საქართველო-გერმანიის ერთობლივ საწარმო ეკოში“ — 5%-იან წილს ფლობს; უმრავლესობის წევრი თამაზ შიოშვილი, შპს „მემორექსიში“ — 30%-იან წილს, შპს „სპენიშქლეიში“ — 35%-იან წილს ფლობს; უმრავლესობის წევრი თემურ მაისურაძე, შპს „ნევი ნოტექის“ 20%-იანი წილის მფლობელია; დამოუკიდებელი დეპუტატი იაშა შერვაშიძე; შპს „გუმ ბაპა“-ში 51%-იან წილს, შპს „სტარ არ ჯი“-ში — 5%-იან წილს ფლობს; უმრავლესობის წევრი იოსებ ჯაჭვლიანი, შპს „თეთნულდის“ 50%-იანი წილის მფლობელია; დამოუკიდებელი დეპუტატი კახაბერ ოქრიაშვილი; შპს „სანიმედში“ — 100%-იან წილს, შპს „ჯისითი ინჟინერინგში“ — 37.5%-იან წილს, შპს „ალფაში“ — 100%-იან წილს, შპს „სპს ფარმაში“ — 100%-იან წილს, შპს „ჯი ემ პი პროდაქშენში“ — 95%-იან წილს, შპს „მანდარინში“ — 100%-იან წილს, შპს „პსპ დაზღვევაში“ — 100%-იან წილს, შპს „პატრია მედიკაში“ — 100%-იან წილს, შპს „ჯეომედში“ — 100%-იან წილს, შპს „პსპ“-ში — 59%-იან წილს, შპს „მედკაპიტალში“ კი 50%-იან წილს ფლობს. უფრო ზუსტად, შპს „მედკაპიტალის“ 50%-50%-იან წილებს „პსპ ფარმა“ და „ავერსი ფარმა“ ფლობენ, „პსპ ფარმას“ 100%-იანი წილის მფლობელი კი კახა ოქრიაშვილია; უმცირესობის წევრი კობა ნაყოფია, შპს „გოლდ ინვესტში“ — 100%-იან წილს, შპს „მ.დ. ჯგუფში“ — 100%-იან წილს ფლობს; უმცირესობის წევრი ლევან ქარდავა, შპს „მაგანა 2004“-ში — 100%-იან წილს, შპს „გრუპპო ვია“-ში — 100%-იან წილს, შპს „საქართველოს ინოვაციურ ნანოტექნოლოგიებში“ — 20%-იან წილს ფლობს; უმრავლესობის წევრი ნოდარ ებანოიძე, შპს „კომპაუდის“ 14%-იანი წილის მფლობელია; უმრავლესობის წევრი პაატა კიკნაველიძე, შპს „აგრარული ბაზრის“ 19%-იან წილს ფლობს; უმცირესობის წევრი პაატა ლეჟავა, შპს „დილატო ფიტნეს კლუბის“ 33.33%-იანი წილის მფლობელია; უმრავლესობის წევრი რევაზ შავლოხაშვილი, შპს „საბა 2005“-ში 50%-იან წილს ფლობს; დამოუკიდებელი დეპუტატი სერგო ხაბულიანი, შპს „ცეკურის“ 62.5%-იანი წილისა და შპს „მშენებელი 2004“-ის 62.5%-იანი წილის მფლობელია.

რას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს პარლამენტის წევრი, დეპუტატობის პარალელურად, სამეწარმეო საქმიანობას ეწევა, ამა თუ იმ კომპანიაში ბიზნესწილს ფლობს, საიდანაც მატერიალურ სარგებელს იღებს და ეს ყველაფერი დეკლარირებული არ აქვს? „ვერსიას“ ექსპერტი **ლევან ალაფიშვილი** ესაუბრება.

— საქართველოს კანონმდებლობით, თანამდებობრივი შეუთავსებლობა და დეკლარირება გამიჯნულია, რათა ინტერესთა კონფლიქტი გადამოწმებადი იყოს. თანამდებობრივი შეუთავსებლობა საჯარო მოხელეს სხვა საქმიანობას უკრძალავს, მაგრამ კანონში ასეთი ჩანაწერიცაა, საჯარო მოხელეს, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, სხვა ანაზღაურებადი საქმიანობის უფლება არ აქვს. რაც შეეხება ინფორმირებულობას ანუ დეკლარირებას, წილების ფლობა კანონით აკრძალული არ არის, მაგრამ მათი დეკლარირება სავალდებულოა. ადრე აუცილებელი იყო, საჯარო მოხელეს კუთვნილი წილი სხვა პირისთვის გადაეცა, მაგრამ ახლა, თუ თანამდებობის პირი კომპანიაში წილს ფლობს, ეს ყველაფერი დეკლარაციაში უნდა აისახოს. კანონმდებლობით, ამ მოთხოვნების შესრულების მონიტორინგის უფლება საჯარო სამსახურის ბიუროს აქვს.

— თუ ბიზნესკომპანიაში წილის ფლობით, დეპუტატის თანამდებობრივი შეუთავსებლობა დადასტურდება, კანონის მიხედვით, როგორ დაისჯება?

— ასე ცალსახად გამიჭირდება თქმა, რადგან კანონში სანქციასთან დაკავშირებით, გარკვეული ამპლიტუდაა. თუკი დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანაზე ვიმსჯელებთ, ამ შემთხვევაში, ჯარიმას სასამართლო დააწესებს. ძალიან რომ არ დაგაბნიოთ, მარტივად აგიხსნით, სასჯელი არსებობს, მაგრამ დისციპლინარული იქნება, ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლებრივი, სასამართლოს გადასაწყვეტია.

— იმის გამო, რომ დეპუტატობის პარალელურად, ზვიად კვაჭანტირაძე, გოგი თოფაძე და თამაზ ავდალიანი კომპანიების დირექტორებიც არიან, უფლებამოსილება შეუწყდებათ?

— დიახ, რა თქმა უნდა და ერთ-ერთი სანქცია სწორედ ესაა. თუ დადასტურდა, დირექტორობის გარდა, ისინი ამ კომპანიებში წილებსაც ფლობენ და დეკლარაციაში არ აქვთ ასახული, პასუხისმგებლობა ამის გამოც უნდა დაეკისროს, ანუ მათი საქმე ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს. გარდა ამისა, თუ ერთი თეთრი მაინც მიიღეს ამ თანამდებობიდან და დეკლარაციაში არც ეს ასახეს, პასუხისმგებლობა ამის გამოც უნდა დააკისრონ.

— როგორც წესი, ამ საკითხზე პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა უნდა იმსჯელოს, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანიც ფლობს ორ კომპანიაში წილებს. რამდენად მიზანშეწონილია, ამაზე კახიანმა იმსჯელოს?

— ამ შემთხვევაში, გიორგი კახიანიც ისევე მოექცევა კანონის ფარგლებში, როგორც დანარჩენი დეპუტატები, თუმცა კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ — თუ დეპუტატი კომპანიაში წილს ფლობს, კანონდარღვევა არ არის, მთავარია, ეს დეკლარაციაში ასახოს.

ვერსიანიუსი

შსს-მ კიბერდანაშაულის ფაქტი გამოავლინა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევასა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ფულადი თანხის ფარულად დაუფლებაში ამხილეს და ბრალი წარუდგინეს 1989 წელს დაბადებულ ბაჩუკი ღ-ს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული 2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის მარტამდე ონლაინკაზინო „ლიდერბეთის“ მომხმარებლის სახელებს შემთხვევით ირჩევდა და პაროლის სხვადასხვა კომბინაციის შეყვანით მომხმარებლის ანგარიშზე უნებართვო ავტორიზაციას გადიოდა. ბრალდებული უკანონოდ მოპოვებულ ანგარიშებს პაროლებს უცვლიდა და მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლებოდა ანგარიშზე არსებულ თანხებს. შემდეგ ინტერნეტ-კაფეში უცნობ პირებს წინასწარ უთანხმდებოდა, სთხოვდა მასთან ეთამაშათ და მოეგოთ, ხოლო მოგებული თანხა „ლიდერბეთის“ სალაროებში გაენაღდებინათ, განაღდებული თანხა კი მისთვის გადაეცათ. ბრალდებულმა აღნიშნული მეთოდით „ლიდერბეთის“ 411 მომხმარებლის ანგარიშზე შეაღწია უკანონოდ და 22 მომხმარებლის ანგარიშზე არსებულ თანხებს მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა. ბაჩუკი ღ. აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება მიმდინარეობს ქურდობის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ს 284-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

„აგვისტოს ომის დეტალებში ქექვის ნაცვლად, ძალოვან სისტემაში ჩანერგილები იკვლიონ“

რუსუდან შელია
557-100-768

2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგებს გენერალური შტაბი რამდენიმე დღეში თავდაცვის მინისტრს წარუდგენს. საპარლამენტო უმცირესობამ ირაკლი ალასანიას ინიციატივა პოლიტიკურ დევნად შეაფასა და ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებზე საუბრობს. რატომ გახდა თავდაცვის მინისტრისთვის ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერის წინ აგვისტოს ომის სტრატეგიის შესწავლა კვლავ აქტუალური და რა შეიცვლება ამ გადაწყვეტილებით დოქტრინის გაუმჯობესების მიმართულებით? „ვერსიას“ ნაციონალური მოძრაობის წევრი ДАВИТ ДАРЧИАШВИЛИ ესაუბრა.

დავით დარჩიაშვილი ირაკლი ალასანიას სამხედრო რჩევებს აძლევს

— ახლა აგვისტოს ომის კვლევას ორი სავარაუდო ვარიანტი აქვს: ეს ან თავდაცვის მინისტრის დაუფიქრებლობის შედეგია, რომელიც მოსალოდნელ საფრთხეებს ვერ საზღვრავს, ან ვიღაც ამ თემის ქექვით პოლიტიკური სარჩულის შექმნას ცდილობს, რაც, პირველ რიგში, ქვეყანას დააზიანებს. გაუგებარია, კონკრეტულ პროცესში რატომ მონაწილეობს ირაკლი ალასანია, მას ეს კარგ შედეგს არ მოუტანს.

— ირაკლი ალასანიას განცხადებით, აგვისტოს ომის სტრატეგიის კვლევა დოქტრინის გაუმჯობესების საფუძველზე დაიგეგმა. თქვენი აზრით, რატომ გახდა ეს საკითხი აქტუალური მაინცდამაინც ახლა ან პოლიტიკურ დაკვეთაზე რატომ საუბრობთ?

— ზოგადად, ომის შემდეგ სამხედროებმა გარკვეული დასკვნები უნდა გამოიტანონ და ტექნიკურ საკითხებზე დაფიქრდნენ, მაგრამ ირაკლი ალასანიას განცხადება ამ შემთხვევაშიც ალოგიკურია. კერძოდ, 2009 წელს, აგვისტოს ომის ტექნიკური დეტალები შევისწავლეთ და სერიოზული ანალიზიც გაკეთდა, პროცესში ამერიკელებიც იყვნენ ჩართულები... თუ თავდაცვის მინისტრი ფიქრობს, რომ ამერიკელების პროფესიონალიზმში ეჭვი უნდა შევიტანოთ, მისი პრობლემაა. ეს კარგად უნდა ესმოდეს გენშტაბსა და ვახტანგ კაპანაძეს. პირადი პიარისთვის მსგავსი მგრძნობიარე თემების წამოწევა გაუმართლებელია. კიდევ ერთი საკითხი მეჩვენება საეჭვოდ: ჯგუფი, რომელსაც ირაკლი ალასანიამ აგვისტოს ომის ანალიზი დაავალა, წინა ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტებითაა დაკომპლექტებული, ეს კი მუშაობის ობიექტურობასაც ეჭვქვეშ აყენებს და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილისთვის სასურველ შედეგს გამოიღებს, რომელმაც არაერთხელ განაცხადა — რუსეთთან ომი საქართველომ დაიწყოო.

— კვლევის ფარგლებში 600 ჯარისკაცი გამოიკითხა. თქვენთვის ცნობილია, სამხედროები დასაკითხად რა პრინციპით შეარჩიეს?

— ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს სამსახურიდან დაითხოვეს. ვერ ვიტყვი, ეს დაკითხვა იყო თუ გამოკითხვა?! ირაკლი ალასანიას პოლიტიკური დაკვეთის შესრულებას აზრი უნდა დაკარგვოდა, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა რუსეთი აგრესიულ ნაბიჯებს არამხოლოდ უკრაინის, საქართველოს წინააღმდეგად ყოველდღიურად დგამს. აგვისტოს ომის დეტალებში ქექვის ნაცვლად, საფრთხეები გააანალიზონ და ძალოვან სისტემაში ჩანერგილები იკვლიონ.

— თავდაცვის სამინისტროში ჩანერგილებზე რამე კონკრეტული ინფორმაცია გაქვთ?

— ეს საკითხი თავდაცვის სამინისტრომ უნდა შეისწავლოს, წარსულში ქექვა კი საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება.

— აგვისტოს ომის სტრატეგიის კვლევის ფონზე, თავდაცვის მინისტრი საქართველოში პრორუსული ძალების გააქტიურებაზეც ხშირად მიანიშნებს...

— თავდაცვის მინისტრის არათანმიმდევრულობა ამ შემთხვევაშიც იკვეთება. ევროკავშირის ასოცირების ხელმოწერის წინ, აგვისტოს ომზე ნებისმიერი დისკუსია მხოლოდ პრორუსული ძალების წისქვილზე ასხამს წყალს და შიდაპოლიტიკურ აჟიოტაჟს გამოიწვევს. სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი და ოთარ ფარცხალაძე სწორედ მსგავსი აჟიოტაჟით სულდგმულობენ. ვერ დავამტკიცებ, რომ ივანიშვილი რუსეთის აგენტია, მაგრამ ფაქტია, როცა რუსეთი პირდაპირი აგრესიით გვემუქრება, ყოფილი პრემიერის დაკვეთით, ირაკლი ღარიბაშვილი, ალექსანდრე ჭიკაიძე და სხვები საუბრობენ, რუსეთიდან საფრთხე არ არსებობს, ქვეყნისთვის ეროვნულ საფრთხეს მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა წარმოადგენსო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს ადამიანები ჩვენ მხარდამჭერებსაც უპირისპირდებიან. ეს ან ღალატია, ან ღალატზე უარესი — სიბრიყვე... თუმცა მაინც მგონია, რომ ამ თემით ცდილობენ, წინა ხელისუფლებას მაქსიმალურად დააჭირონ წიხლი. ვიმეორებ, კონკრეტულად, ირაკლი ალასანიას ინტერესი რაში მდგომარეობს, არ მესმის.

— რატომ არის კონკრეტულად ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილება თქვენთვის მოულოდნელი?

— ალასანია იმდენად სუსტ ტოტზე ზის, როდის ჩატყდება, კაცმა არ იცის — ივანიშვილის მხარდაჭერა დიდი ხანია დაკარგა, პრინციპში, მათ შორის ხიდიც ჩატეხილია, უბრალოდ, თავდაცვის მინისტრი ჯერ ბოლომდე არ დამარცხებულა.

ბიძინა ივანიშვილის წინაშე პოლიტიკური ქულების ჩაწერა კი სისულელეა, რადგან დიდი ხანია ყოფილი პრემიერი მის გუნდს თვალებს უბრიალებს. ივანიშვილი კონკრეტული პიროვნების აზრის გამოხატვის სურვილს ვერ იტანს, რაც მის ეჭვიან ბუნებაზე ან მიზანტროპობაზე მიანიშნებს. ასე რომ, ივანიშვილი ალასანიას წინააღმდეგ წერტილოვან დარტყმებს მომავალშიც გააგრძელებს, თავდაცვის მინისტრი კი ტაქტიკურად ცუდ პოზიციას ირჩევს.

— ომში დამარცხების გამო ჯარისკაცებს არ სჯიან, თუმცა რამდენად მოსალოდნელია, სამხედროების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს?

— ზოგადად, რამდენად ესმის ირაკლი ალასანიას, დღეს რას აკეთებს, ვერ გეტყვით, მით უმეტეს, რატომ დაიწყო აგვისტოს ომის ტექნიკურ კვლევაზე საჯაროდ საუბარი, როცა საკითხი კონკრეტულად სამხედროების განსახილველია. სხვათა შორის, აგვისტოს ომთან დაკავშირებით სამხედროებთან პირადად არაერთხელ მისაუბრია. ნაწილი ფიქრობდა, რომ სანგრები სენაკთან უნდა გათხრილიყო... ამ თემაზე დავა დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, მაშინ სანგრების გასათხრელად სათანადო დრო და რესურსი თუ არსებობდა. თუ თავდაცვის სამინისტრო საბოლოოდ ჯარისკაცების დასჯამდე მივიდა, გაუგონარ აბსურდს მივიღებთ. საჯაროდ კითხვაც კი არ უნდა დაისვას, ომში რომელი ჯარისკაცი გარბოდა და რომელი იბრძოდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ცივილურ ქვეყნებში ასე არ იქცევიან. სამხედროებმა კარგად იციან, თუმცა ხმამაღლა არ საუბრობენ, რომ არ არსებობს ომი, სადაც ერთ მეომარს მაინც არ ეშინია და არ გარბის. ომი ქაოსი და უბედურებაა, სადაც ადამიანის სიცოცხლე სასწორზე დევს და ტრაბახი, ვინ იმალებოდა და ვის გეგმები აერია, გაუმართლებელია. ეს იგივეა საფრანგეთის არმია გაასამართლონ, გერმანელებთან ომში ორ კვირაში რატომ დამარცხდნენო.

— რამდენჯერმე დაანონსდა, აგვისტოს ომის საკითხი მიხეილ სააკაშვილამდე მივაო. არ უნდა დადგინდეს, ომის აცილება იყო თუ არა შესაძლებელი?

— როცა სხვა გამოსავალი არ არსებობს, უნდა იომო, ამას ქვეყნის კონსტიტუცია მოითხოვს. რაც უნდა იკვლიონ, ამ თემით მიხეილ სააკაშვილის პასუხისმგებლობამდე ვერავინ მივა, რადგან იგი აგვისტოს ომის პერიოდში უმაღლესი მთავარსარდალი იყო და პოლიტიკურ ბრძანებებსაც გასცემდა, თუმცა ტექნიკურ საკითხებზე, მაგალითად — რომელ სიმაღლეზე იდგა, ან უნდა დაყოფილიყო თუ არა ასეულებად ბატალიონი, არ ერეოდა. პოზიციური ტაქტიკა კი, ვიმეორებ, ამერიკელებმა დეტალურად შეისწავლეს, რაც ოპერატიულ დოქტრინებსა და ჯარის მომზადების მიმართულებებზეც აისახა. 2009-10 წლებში სამხედრო განვითარება სწორედ აგვისტოს ომის დროს მიღებული მწარე გაკვეთილების გათვალისწინებით ხორციელდებოდა. თავდაცვის მინისტრს უნდა ესმოდეს, რომ ახლა ემოციებისა და პოლიტიკური დაკვეთების დრო აღარ არის! საფრთხე ქვეყანას ექმნება და უწყებაც ამ მიმართულებით უნდა მუშაობდეს.

— თავდაცვის სამინისტროს ნატო-სა და, კონკრეტულად, ამერიკელ სამხედროებთან სხვადახვა მისიაში განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა აქვს. ამერიკელების მიერ მომზადებული კვლევის გადახედვა სამხედრო ურთიერთობაზე რამდენად აისახება?

— ამერიკელები რუსები არ არიან და დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ ეტყვიან, ჩვენ დასკვნას ხელახლა რატომ იხილავთო, თუმცა საღი აზრი მოითხოვს, მსგავსი გადაწყვეტილებები თავდაცვის მინისტრმა ნაკლებად მიიღოს.

რა შეაჩერებს კრემლს?

პუტინი უკრაინაში არჩევნებს ჩაშლის და ჯარს შეიყვანს?

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში მდგომარეობა უკიდურესობამდე დაძაბულია. პრორუსულად განწყობილი აქტივისტები დათარეშობენ და ღია ტერორს არ ერიდებიან. მათ რუსი სპეცსამსახურები ზურგს უმაგრებენ. როგორ განვითარდება მოვლენები და რა შეაჩერებს პუტინის ზრახვებს? „ვერსიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება.

– რუსეთს მხოლოდ ეკონომიკური სანქციების მესამე ციკლი შეაჩერებს. შედარებით მოკრძალებული პირველ-მეორე ეტაპი 155 მილიარდი დოლარი დაჯდა, მაგრამ ვაშინგტონის მიერ შემუშავებული მესამე ეტაპი თუ ჩაირთო, ეს მონაგონი იქნება. ამერიკა ევროპასთან მოლაპარაკებას აწარმოებს. განსაკუთრებით გერმანიასთან — იქაურ მრეწველებს ფართომასშტაბიანი სანქციების დაწესება არ უნდათ, რადგან თვითონაც დაზარალდებიან. რუსეთის უცებ მოკვეთა უჭირთ, რადგან მთავარი ეკონომიკური პარტნიორია და საქონელბრუნვა ასობით მილიარდ დოლარს აღწევს. არადა, ეს თემა ბარაკ ობამას პრესტიჟის საკითხად იქცა, რადგან ჟენევის მოლაპარაკების მთავარი გარანტორი ამერიკაა. როცა პუტინი და ლავროვი ცინიკურად სდებენ ბრალს აშშ-ს, რომ ჟენევის მოლაპარაკებას არ ასრულებს, არავის უჩნდება ეჭვი აღმოსავლეთ უკრაინაში რუსული სპეცსამსახურების მონაწილეობის შესახებ. ბოლო დღეებში ისინი გააქტიურდნენ და აგრესიულად განწყობილმა აქტივისტებმა კიდევ რამდენიმე ქალაქში დაიკავეს შენობები. ამ ფონზე, რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური იზოლაციის საკითხი ევროპამაც რომ გადაწყვიტოს, ამისთვის, როგორც ჩანს, მაინც საჭიროა, პუტინმა აღმოსავლეთ უკრაინაში ჯარი შეიყვანოს და შეიძლება, ეს მალე მოხდეს. უკრაინის შს მინისტრმა განაცხადა, დაზავება დასრულდა, ყველაფერს საზღვარი აქვს, მეტს არ მოვითმენთო. კიევი არმიას ნაკლებად ენდობა, რადგან იქ ძლიერი პრორუსული განწყობაა; შექმნეს შს რაზმები, მზად არიან, პრორუსი აქტივისტები შენობებიდან კინწისკვრით გამოყარონ და აღმოსავლეთ უკრაინიდან გარეკონ. თუ ეს პროცესი დაიწყო, პუტინს სხვა გზა არ ექნება — ჯარი უნდა შეიყვანოს. მაშინ, ევროპასა და ვაშინგტონს სხვა გამოსავალი აღარ დარჩებათ და ყველაზე მტკივნეული — სანქციების მესამე ეტაპი უნდა დაიწყონ.

– რა შედეგს მოიტანს ეს სანქციები და თეორიულად, მივა თუ არა საქმე სამხედრო შეტაკებამდე?

– სანქციები ძირითადად ფინანსურ სფეროს ურტყამს. დასავლეთსა და რუსეთს შორის პირდაპირი სამხედრო შეჯახება გამორიცხულია. ეს უკვე მესამე მსოფლიო ომია, ამაზე არავინ წავა. სრულმასშტაბიანი ეკონომიკური სანქციები საკმარისი იქნება – თანხების გაყინვა, ყოველგვარი კონტაქტების შეჩერება... დღეს რუსეთს ამერიკასთან დაახლოებით 140 ერთობლივი პროექტი აქვს, რომელთა განხორციელებაზე მუშაობა ჯერ არ შეჩერებულა. მედვედევმა განაცხადა, რუსეთის ეკონომიკა ძლიერი წნეხის ქვეშაა დასავლეთის მხრიდან და ეს კარგიცაა, რადგან ახლა თვითონ დავიწყებთ ყველაფრის წარმოებას, დასავლეთიდან აღარ შევისყიდითო. ეს განცხადება ამერიკელ თუ ევროპელ ექსპერტებს სასაცილოდ არ ეყოთ, რუსეთს რისი წარმოება შეუძლიაო. აშშ, საუდის არაბეთი და ნავთობის დიდი მწარმოებლები შეიძლება შეთანხმდნენ, ნავთობის ფასი ერთ თვეში დასწიონ, რასაც კოლაფსი მოჰყვება – რუსეთის ეკონომიკა დაიშლება. ჯერჯერობით, დასავლეთი ამაზე არ მიდის, მაგრამ, თუ რუსეთმა აღმოსავლეთ უკრაინაში ჯარი შეიყვანა, ასეც მოხდება. ამასთან, მოსკოვის მიზანია, 25 მაისს, უკრაინაში არჩევნები არ შედგეს. თუ ეს მოხდა, ჩათვალეთ, რუსეთმა ეს ომი წააგო. მისი უკანასკნელი იმედია, რომ არჩევნები არ გაიმართება, უკრაინაში ლეგიტიმური პრეზიდენტი, მთავრობა არ იქნება და უფრო გააააქტიურებს თავის მეხუთე კოლონას. კიევს კი აწყობს კიდეც, პუტინმა აღმოსავლეთ უკრაინაში ჯარი შეიყვანოს — მაშინ ევროპის უხერხემლო პოლიტიკას, გერმანელების ორ სკამზე ჯდომას ბოლო მოეღება.

რა ინფორმაციას მალავს ნოდარ ხადური

მაია მიშელაძე
593-51-90-12

120-კაციანი გასაჯაროებული მენიუ და უსაფუძვლოდ გასაიდუმლოებული ხარჯი ფინანსთა სამინისტროში

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი IDFI საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასამართლოში უჩივის. არასამთავრობო ორგანიზაციამ სასამართლოში სარჩელი 19 აპრილს შეიტანა, მიზეზი კი ფინანსთა სამინისტროს მიერ არასრული ინფორმაციის მიწოდება გახდა. კერძოდ, ნოდარ ხადურის უწყებამ IDFI-ის არასრული სახით მიაწოდა ინფორმაცია თანამდებობის პირთა პრემიების, სახელფასო დანამატების, სამივლინებო, „როუმინგული“ და ავტოპარკის ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯის შესახებ. ფინანსთა სამინისტრომ საჯარო ინფორმაცია დახურა, რისი უფლებაც კანონმდებლობით არ ჰქონდა, მაგრამ ნააღდგომევს, საინფორმაციო საშუალებებში ის მენიუც გაავრცელა, რომლითაც საქართველოში აზიის განვითარების ბანკის სახელმწიფო ვალის მართვის რეგიონული ფორუმის ფარგლებში, 35 ქვეყნის 120 წარმომადგენელს გაუმასპინძლდა.

ინფომარციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა ფინანსთა სამინისტროსგან მხოლოდ ის შეიტყო, რომ გასული წლის განმავლობაში, ნოდარ ხადურის უწყებამ 33 საერთაშორისო დელეგაციას უმასპინძლა, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 188 395 ლარი დახარჯა. 2013 წელს, ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების ოდენობამ 175 365 ლარი შეადგინა, ხოლო სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხულმა სახელფასო დანამატებმა 648 819 ლარი. შარშან ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირების „როუმინგულ“ მომსახურებაზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 461 ლარი დაიხარჯა, ხოლო თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე 143 554 ლარი (მათ შორის, დღიური ხარჯი 41 277, სასტუმროს ხარჯი 53 665, მგზავრობა 45 869, სხვა ხარჯი კი 2 742 ლარი იყო). 2013 წელს, ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა, ჩანაცვლების წესით 22 ავტომანქანა შეიძინა, რომელთა ჯამური ღირებულება 212 805 ლარი იყო.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ანალიტიკოსმა, **გოგა თუშურაშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროს 15 განსხვავებული მოთხოვნით მიმართეს, მათგან მხოლოდ 5-ზე მიიღეს სრულყოფილი პასუხი, 8 მოთხოვნაზე — არასრული, ერთი მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს, ხოლო ერთზე უარი განაცხადეს: **„არასრული პასუხები მივიღეთ ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირების პრემიებისა და დანამატების შესახებ, არადა, გვაინტერესებდა, რა რაოდენობის პრემია ან სახელფასო დანამატი მიიღო კონკრეტულმა თანამდებობის პირმა. სამინისტრომ კი მხოლოდ ჯამური ინფორმაცია მოგვაწოდა, მსგავსი მდგომარეობა იყო სამივლინებო და „როუმინგულ“ ხარჯთან დაკავშირებითაც. სამწუხაროდ, ისიც კი არ ვიცით, რამდენი თანამდებობის პირი მუშაობს ფინანსთა სამინისტროში, რომ ამ ჯამური თანხის მიხედვით, მიახლოებით მაინც დაგვეთვალა, ვინ, რა ოდენობის პრემია მიიღო. გარდა ამისა, დავინტერესდით, კონკრეტულად, რა სახის ღონისძიებები ჩაატარა ფინანსთა სამინისტრომ 2013 წელს, სად ჩატარდა ეს ღონისძიება, რამდენი ადამიანი იყო მიწვეული და რა რაოდენობის თანხა დაიხარჯა, მაგრამ ინფორმაცია მხოლოდ წლის განმავლობაში მიღებული სტუმრების რაოდენობის მთლიანი თანხის შესახებ მოგვაწოდეს. მეტიც, ჩვენ გვაინტერესებდა, კონკრეტულად, რა რაოდენობის შესყიდვა განახორციელა სამინისტრომ გადაუდებელი აუცილებლობისთვის, მაგრამ ეს მოთხოვნა საერთოდ უპასუხოდ დატოვეს“.**

გოგა თუშურაშვილის თქმით, 2012 წლამდე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი საერთოდ ვერ იღებდა ამ ტიპის ინფორმაციას ვერც ერთი სახელმწიფო უწყებისგან, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, ორგანიზაციას ასეთი პრობლემა არ შექმნია. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, საჯარო ინფორმაციის გაცემა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. წელს კი, გამოიკვეთა ტენდენცია — ფინანსთა სამინისტროში მსგავსი ტიპის ინფორმაცია დაიხურა, რაც მიზანშეწონილი არ არის. გოგა თუშურაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ერთადერთი, რასაც სასამართლო ნოდარ ხადურის უწყებას მოსთხოვს, საჯარო ინფორმაციის გაცემა იქნება, რადგან საქართველოს კანონმდებლობა სხვა სახის სანქციებს არ ითვალისწინებს. უცნაურია, რა მიზეზითაა დახურული საჯარო ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროში, მით უმეტეს, რომ ეს არც შინაგან საქმეთა და არც თავდაცვის სამინისტროა, როგორ შეიძლება კონკრეტული თანამდებობის პირის სამივლინებო ხარჯი გასაიდუმლოებული იყოს, თუ ეს თანამდებობის პირი სპეცსამსახურში არ მუშაობს: **„მოქმედი კანონმდებლობით, ამ ტიპის ინფორმაციის დახურვის მიზეზი არ არსებობს, რადგან მხოლოდ საჯარო ინფორმაცია გამოვითხოვეთ, რაც ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. შესაძლოა, დახურვის მიზეზი ისაა, რომ ფინანსთა სამინისტროს არ სურს, ფართო საზოგადოებამ გაიგოს, რა რაოდენობის დანამატი მიიღო კონკრეტულმა თანამდებობის პირმა ხელფასზე ან რა რაოდენობის პრემია გასცეს. სხვა შემთხვევაში, ამ ტიპის ინფორმაციის გასაიდუმლოების საფუძველი არ არსებობს. მართალია, სასამართლოში სარჩელი 19 აპრილს შევიტანეთ, მაგრამ მანამდე, ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის სახელზე ადმინისტრაციული საჩივარი დავწერეთ. მას შემდეგ, რაც საჩივრის განხილვაზე უარი განაცხადეს, ანუ ოფიციალურად მოგვწერეს, რომ ჩვენი საჩივრის განხილვას არ აპირებენ, კანონიერი უფლება გამოვიყენეთ და სასამართლოს მივმართეთ“.**

22 აპრილს, საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით, ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა, 23-25 აპრილს აზიის განვითარების ბანკის სახელმწიფო ვალის მართვის რეგიონული ფორუმის ფარგლებში, მისაღები სტუმრების ზუსტი ოდენობა გამოაქვეყნა. მეტი დამაჯერებლობისთვის ამ ინფორმაციას ის მენიუც დაურთეს, რომლითაც ფორუმის ფარგლებში, 35 ქვეყნის 120 წარმომადგენელს გაუმასპინძლდნენ. ფინანსთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ყოველწლიური შეხვედრის ფარგლებში, ოფიციალური ღონისძიებების გარდა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქართული კულტურის წარმოსაჩენად და 120 სტუმრის პატივსაცემად, ანსამბლი „რუსთავი“ მიიწვია და ოფიციალური მიღება გამართა: **„იქიდან გამომდინარე, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ მიზანმიმართულად არ მთავრდება საუბარი, სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, წინასწარ აქვეყნებს ოფიციალური მიღების მენიუს. მენიუ 120 კაცზე, სადაც ერთი პორციის (სტილი დაცულია) ფასებია მითითებული: კიტრისა და პომიდვრის სალათი – 3.00 ლარი; ქათმის სალათი — 3.50 ლარი; სალათი „ოლივიე“ – 4.00 ლარი; ქათმის ღვიძლის სალათი — 5.30 ლარი; ბადრიჯანი ნიგვზით — 4.50 ლარი; ყველის ასორტი — 7.00 ლარი; ნადუღი სულგუნში — 4.00 ლარი; მწნილის ასორტი — 4.00 ლარი; ზეთისხილი — 2.00 ლარი; ხბოს მწვადი — 12.00 ლარი; საქონლის ხორცის წვნიანი („ოსტრი“) — 7.50 ლარი; ქათმის ღვიძლი კეცზე — 3.50 ლარი; შემწვარი კარტოფილი (გლეხურად) – 3.50 ლარი; სოკო კეცზე — 5.00 ლარი; ხორცის ბლინები – 4.00 ლარი; ლობიო ქოთანში ნიგვზით — 4.50 ლარი; შემწვარი კალმახი — 6.00 ლარი; თევზი ქინძმარში — 13.00 ლარი; შემწვარი ქათამი — 17.50 ლარი; იმერული ხაჭაპური — 6.50 ლარი; პური — 0.75 ლარი; მჭადი — 1.00 ლარი; ლიმონათი — 1.50 ლარი; ბორჯომი — 1.40 ლარი; ღვინო „წარაფი“ (1 ლიტრი) — 4.50 ლარი“.**

ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ამიერიდან, უწყება წინასწარ გამოაქვეყნებს ოფიციალური დელეგაციების პატივსაცემად გასამართი მიღებების მენიუებს, **„რათა ერთხელ და სამუდამოდ, შეწყდეს სამინისტროს წინააღმდეგ დაგეგმილი მიზანმიმართული და სამარცხვინო კამპანია“.** სხვათა შორის, იგივე პოზიცია დაა-ფიქსირა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა, დეპუტატმა თინა ხიდაშელმა და ფინანსთა სამინისტროს ეს განცხადება ორი სიტყვით, ასე შეაფასა: **„ყოჩაღ, ნოდარი!“** თუმცა სამინისტროს პრესსამსახურის ინიციატივას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ქართული ოცნების მომხრეები ნოდარ ხადურს უჭერდნენ მხარს, მოწინააღმდეგეები კი ქილიკობდნენ. მეტიც, მენიუში შესწორების სახით, უფრო კი გემოვნების მიხედვით, ჩაქაფულის, ხაშლამის, გებჟალიასა და ჭვიშტარის დამატებასაც ითხოვდნენ... სტუმარს საკადრისი დახვედრა სჭირდება და ამაზე არავინ კამათობს, მით უმეტეს, ქვეყნის კულტურის შესწავლა სუფრიდან იწყება, ამიტომ სულაც არ არის უცნაური, თუკი სამინისტრომ კონკრეტული ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი ოფიციალური მიღების მენიუ გამოაქვეყნა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, იგივე წარმატებით, კონკრეტული თანამდებობის პირების პრემიის ოდენობა, მათი სამივლინებო და თუნდაც „როუმინგული“ ხარჯებიც გამოექვეყნებინა? მით უმეტეს, რომ ამ ტიპის ინფორმაცია საჯაროა და კანონის მიხედვით, ხადურის უწყება ვალდებული იყო, არასამთავრობო ორგანიზაციისთვის სრულყოფილი პასუხი გაეცა.

ვერსიანიუსი

„მარშუტკებში“ რადიომიმღებების მონოპოლიზება დაიწყო

15 სამარშრუტო ტაქსის მძღოლები პარალელს წინა ხელისუფლების დროს მომხდარ მსგავს შემთხვევასთან ავლებენ, როდესაც რადიომიმღებში ყველა სიხშირე გაუთიშეს.

როგორც მძღოლები აცხადებენ, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსმა“ ისარგებლა იმით, რომ სადღესასწაულო დღეებში სამარშრუტო ტაქსები ავტოსადგომზე იყო გაჩერებული და მძღოლებთან შეთანხმების გარეშე, სხვა სიხშირეები გათიშა და მხოლოდ რადიო „უცნობი“ დატოვა.

„თბილისის მიკროავტობუსი“ კომპენსაციის სახით მძღოლებს სამედიცინო დაზღვევას დაპირდა — მგზავრის დაშავების შემთხვევაში, მისი მკურნალობის ხარჯს დაზღვევა აანაზღაურებს.

რადიოსიხშირეების გამორთვა ეტაპობრივად სხვა სამარშუტო ხაზებზეც მოხდება და ამის შემდეგ მგზავრებს გადაადგილებისას მხოლოდ რადიო „უცნობის“ მოსმენის შესაძლებლობა ექნებათ.

კომპანია „თბილისის მიკროავტობუსსა“ და რეჟისორ გოგა ხაინდრავას შორის გაფორმდა „ურთიერთგაგების მემორანდუმი“, რომელიც სამარშრუტო ტაქსებში რადიო „უცნობის“ ბაზაზე სტაციონარული რადიოს გამართვასა და მოწყობას ითვალისწინებს.

როგორც „თბილისის მიკროავტობუსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი, ნინო პოტრჭებსკაია აღნიშნავდა, ამ ტიპის რადიოს მოწყობა მძღოლებთან შეთანხმების შედეგად მოხდებოდა და, შესაბამისად, მიკროავტობუსებში სხვა რადიოების მოსმენა არ დაიბლოკებოდა.

„ინტერპრესნიუსი“

მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში თანამედროვე ნაგავსაყრელები აშენდება

ნაგავსაყრელის მშენებლობასთან დაკავშირებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან მოლაპარაკებები დაიწყო.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, გიორგი სოლომონიამ, შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დირექტორმა, გიორგი შუხოშვილმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (ღ) წარმომადგენლებმა განიხილეს პროექტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. განსაზღვრეს აღნიშნულ რეგიონებში მოსახლეობის რაოდენობა, მყარი ნარჩენების კუთხით არსებული ვითარება და ტარიფები.

ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობის პროექტის განსახორციელებლად საჭირო ფინანსურ დახმარებას საქართველოს სახელმწიფოს ღ გაუწევს. თანხის ერთ ნაწილს დონორი ორგანიზაცია დაბალპროცენტიანი კრედიტის სახით გამოყოფს, ნაწილი კი ქართულ მხარეს გრანტის სახით გადაეცემა.

ოფიციალური პროცედურების დასრულებისთანავე, განხორციელდება პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები დაიწყება. ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელით სარგებლობას ორი რეგიონის 200 ათასამდე მოსახლე შეძლებს.

„პირველი“

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

სუიციდი — თანამედროვე საქართველოს გადაუჭრელი პრობლემა

23 აპრილს, ქარელის რაიონის სოფელ რუისში, 15 წლის ბიჭმა თავი ჩამოიხრჩო. ქარელის რაიონული სამმართველოს პრესსამსახურის წარმომადგენლის ინფორმაციით, გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რომელიც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. თვითმკვლელობის მიზეზი ამ დრომდე უცნობია. სამწუხაროდ, ქართული რეალობისთვის, ეს თვითმკვლელობის ერთადერთი შემთხვევა არ არის, ორმაგად სამწუხარო კი ისაა, რომ თვითმკვლელთა ასაკი, როგორც იტყვიან, გაახალგაზრდავდა. სუიციდისადმი მიდრეკილი ადამიანების რაოდენობის ზრდა საქართველოსთვის უახლოეს წარსულშიც არ ყოფილა უცხო — კომუნიზნის ნგრევის, რთული 90-იანებისა და ქვეყანაში კაპიტალიზმის სწრაფი ტემპით დამკვიდრების შემდეგ, არაერთი ადამიანი „გაურბოდა“ უცხო და მკაცრ რეალობას ამ ქმედებით. მაშინ თვითმკვლელობით სიცოცხლეს, ძირითადად, შუახნის ან ასაკოვანი მამაკაცები ასრულებდნენ, რაც გასაგები იყო ფქისოლოგებისთვის — მათი შეფასებით, მამაკაცებმა ფუნქცია დაკარგეს, ოჯახს ვეღარ არჩენდნენ, სიდუხჭირეში ცხოვრებას ვერ ეგუებოდნენ, ფიქრობდნენ, ცოლ-შვილს მძიმე ტვირთად ვაწვებითო და თავს იკლავდნენ. დღეს რა ვითარებაა და როგორია ჩვენ ქვეყანაში სუიციდის სტატისტიკა? „ვერსია“ ფსიქიატრ გიორგი გელეიშვილს დაუკავშირდა, რომელმაც რამდენიმე რჩევა მოგვცა, როგორ ამოვიცნოთ გარშემომყოფებში პოტენციური თვითმკვლელი.

— ბატონო გიორგი, როგორია საქართველოში სუიციდის სტატისტიკა?

— დაავადებათა კონტროლის ცენტრს, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს შემადგენლობაშია, შესაბამისი სტატისტიკა არ გააჩნია, ამ მონაცემებს მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო აგროვებს. 12 წელია ფსიქიატრიაში ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში, თვითმკვლელობით სიცოცხლე ჩემმა მხოლოდ ერთმა პაციენტმა დაასრულა. მიუხედავად იმისა, რომ სუიციდის მცდელობა ქალებში ორჯერ უფრო ხშირია, თავს უმეტესად მამაკაცები იკლავენ — ხერხი, რომელსაც ქალები და მამაკაცები თვითმკვლელობისთვის იყენებენ, განსხვავებულია. მაგალითად, ქალები უმეტესად აბებს სვამენ, ვენებს იჭრიან... კაცები კი იარაღს ან ე.წ. 100-პროცენტიან მეთოდს იყენებენ. ქალის ბუნება უფროა მიდრეკილი დემონსტრაციული ქცევისადმი და მიმართავენ ხერხებს, რომლებიც ნაკლებად გარანტირებულ სიკვდილს განაპირობებს, კაცებს კი დემონსტრატიულობა ნაკლებად ახასიათებს.

— გამოდის, სუიციდის მცდელობა ერთგვარი მანიპულაციის საშუალებაცაა?

— სუიციდის მცდელობას თავის მიზანი აქვს. თუ ეს გამიკეთე ან პირიქით, თუ ამას არ გააკეთებ, თავის მოკვლაც შეიძლია — მსგავს ლოგიკას ჩხუბის, გაბრაზების, წყენისას ვაწყდებით... ადამიანს რაღაცის მიღწევა დემონსტრაციულად უნდა. ეს ერთგვარი მანიპულაციის საშუალება მართლაცაა, რა დროსაც, შეიძლება ადამიანს სულ არ ჰქონდეს გადაწყვეტილი თვითმკვლელობა, მაგრამ, საუბედუროდ, ასეთი შედეგი დადგეს.

— ბოლო დროს გახშირდა სუიციდის ფაქტები?

— ფსიქიკური პრობლემები ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ, უბრალოდ, როცა საზოგადოება აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, ეს მეტად თვალსაჩინოა და ბევრი შემთხვევა, რომელიც ადრე შეიძლება არ გახმაურებულიყო, ახლა აღარ იმალება. პრობლემაა, რომ არ ხდება ფსიქიკური პრობლემების პროფილაქტიკა, დროული გამოვლენა და სწორი მკურნალობა... 2004 წლიდან სკოლებში, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა ფსიქოლოგის კაბინეტი. ერთი წლის წინ, განათლების სამინისტროში კი გაკეთდა ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი, მაგრამ სასწავლო დაწესებულებებს ვერ გააკონტროლებს. ინტენსიური მუშაობაა საჭირო, თუმცა კარგია, რაღაც რომ დაიწყო. გამოვლენილი პრობლემის მკურნალობა, როცა უკვე საჭიროა ფსიქიატრის დახმარება, მთლიანად ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის მხრებზეა, ბიუჯეტი კი წელიწადში სულ რაღაც 13 მილიონი ლარი გახლავთ. სწორედ ამიტომაა დარჩენილი რიგი რეგიონები, პროფილური დაწესებულებების, ექიმისა და ფსიქოლოგის გარეშე. შესაბამისად, ამ სპეციფიკური სერვისის ხელმისაწვდომობაც, ქვეყნის მასშტაბით, საკმაოდ დაბალია. პრობლემაა ისიც რომ, სტიგმის გამო ადამიანს ურჩევნია, სპეციალისტის ნაცვლად, მივიდეს „ჯადოქართან“ ან ვინმესთან, ვისაც თითქოს კარგი რჩევის მიცემა შეუძლია, ასეთ დროს კი მდგომარეობა აუცილებლად რთულდება. ადამიანი რომც მივიდეს ფსიქო-ნევროლოგიურ დისპანსერამდე და ფსიქიატრთან გაიაროს კონსულტაცია, უმეტესად შეიძლება გაირკვეს, რომ ერთი ვიზიტი საკმარისი არ არის და ამ პრობლემას სჭირდება სისტემატური მეთვალყურეობა, წამალი, განმეორებითი კონსულტაცია... ეს ყველაფერი დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, რაც პაციენტებს ხშირად არ აქვთ. ესაა საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხი, რომელიც სამწუხაროდ, ჩვენთან დაურეგულირებელია. ცალკეული კაბინეტებისა და წერტილოვანი ჩარევით კი პრობლემა ვერ გადაიჭრება, მას ყურადღება სკოლის პერიოდიდან უნდა მიექცეს. ზოგადად, სუიციდისადმი მიდრეკილება უმეტესად გარდატეხის ასაკში ან 65 წელს გადაცილებულ ადამიანებს ახასიათებთ

— თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი ადამიანები რა ნიშნით გამოირჩევიან?

— შესაძლებელია, სუიციდთან საქმე სხვადასხვა ფსიქიკური პრობლემის დროს გვქონდეს... ხშირად, ესაა ისეთი ღრმა დეპრესია, როცა ადამიანს მიაჩნია, რომ მისი ცხოვრება მხოლოდ ტანჯვაა და კარგი აღარაფერი მოხდება, ასეთ დროს ხსნას სიკვდილში ხედავს. თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება აქვთ ასევე მწვავე ფსიქოზური მდგომარეობის დროს — ადამიანებს უჩნდებათ დაახლოებით ისეთი აზრი და განცდა, თითქოს, თუ ფანჯარას გამოაღებ, ზეწარს შემოიხვევ და გადახტები, შეიძლება გაფრინდე... ამ დროს თავის მოკვლა არც აქვთ განზრახული, მიაჩნიათ, რომ ანგელოზის მსგავსად, ფრენა შეუძლიათ. სუიციდის შემთხვევები ხდება არაფხიზელ მდგომარეობაშიც — სხვადასხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ. თვითმკვლელობის მიზეზი შეიძლება გახდეს ტრავმა, რომლის „გადახარშვაც“ ადამიანს უჭირს. ამ დროს შეიძლება გაუფუჭდეს გუნება-განწყობა და გაუჩნდეს განცდა, თითქოს, მდგომარეობიდან გამოსავალი აღარ არსებობს. ცუდია, რომ ომის შემდეგაც კი, როცა პოსტტრავმული აშლილობები, გუნება-განწყობის დაქვეითება საკმაოდ ხშირი იყო, როგორც ჯარისკაცებში, ასევე ზოგადად, მოსახლეობაში, არ მახსენდება რაიმე კვლევა, რომელიც იმ დროს საზოგადოებაში სუიციდის რაოდენობას დაითვლიდა.

SOS! „გუდვილში“ იმ პროდუქტის ფულსაც იხდით, რომელიც არ შეგიძენიათ

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

შეამოწმეთ ჩეკები და შეძენილი პროდუქტის სია

ჰიპერმარკეტების მომსახურე პერსონალის თაღლითობაზე მოარული ხმა, რიგ შემთხვევებში, შავ პიარად ინათლება, ფაქტზე გამოჭერილი მოლარე კი, როცა ცხვირწინ არასწორად ამობეჭდილ ჩეკს აუფრიალებ, მექანიკური შეცდომა მომივიდაო, უმალ იმართლებს თავს. მოგეხსენებათ, გაცუცურაკებული მყიდველისთვის „მექანიკური შეცდომა“ დიდი ვერაფერი ნუგეშია, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავიდან გიშორებენ ზედმეტი ახსნა-განმარტების გარეშე. „ვერსიის“ რესპონდენტ ანა ჭელიძეს გაუმართლა — დიღომში, „გუდვილის“ ცენტრალურ ფილიალში, ერთი ვაი-უშველებლის ატეხვის შემდეგ, დანაკლისი აუნაზღაურეს და დაკარგულ დროსა თუ მოშლილ ნერვებს ვინღა ჩივის.

ანა ჭელიძე: „ჩეკი უკვე „გუდვილიდან“ გამოსულმა ვნახე. თანხა საეჭვოდ დიდი მეჩვენა და ამიტომ გადავამოწმე სია, სადაც რამდენიმე პროდუქტის რაოდენობა, არასწორად იყო მითითებული. მაგალითად, 4-4 ცალი იოგურტის ნაცვლად, 6-6 ეწერა. როცა მივბრუნდი, მითხრეს, მექანიკური შეცდომაა და თანხა სწორად იქნება ჩაწერილიო. ჩემს მოშორებას ცდილობდნენ, მაგრამ კატეგორიულად მოვითხოვე მენეჯერთან დალაპარაკება... საბოლოოდ, დათვალეს რაოდენობა, გამოთვალეს რეალური თანხა, რის შემდეგაც, კეთილი ინებეს და 15 ლარი დამიბრუნეს. მარკეტში შინ მიმავალმა შევიარე. მანქანაში ოჯახის წევრები მელოდებოდნენ, მათ შორის, ჩემი 3 მცირეწლოვანი ბავშვი. თან გეჩქარება, თან გონება დაძაბული გაქვს, თითოეული პროდუქტის ვადას ამოწმებ, რადგან არც ამით ხარ დაზღვეული, რომ დახლზე ვადაგასული პროდუქტი არ იქნება, თუმცა ეს საუბრის სხვა თემაა... ამ ყველაფერთან ერთად, გამოდის, ახლა ჩეკები და პროდუქციის ჩამონათვალიც ლუპით უნდა ამოწმო, ესაა კომფორტი? რას მიკეთებს მარკეტინგის სამსახური?! ასეთი შემთხვევა ჩემ სხვა ახლობელსაც ჰქონია და მეც მეორედ გავხდი გუდვილის მოლარეების „მსხვერპლი“. არა მგონია, კლიენტების მოტყუებით უფროსობა ხეირობდეს, ვფიქრობ, მომსახურე პერსონალია გარიგებული და ფულს აკეთებენ. ამასწინ, შინმისულმა ჩემმა მეგობარმა, ჩეკში, 2 წყვილი ოთახის ჩუსტი აღმოაჩინა, რომელიც საერთოდ არ უყიდია. მაშინ ძალიან ბევრი ვიცინე, რადგან მართლა მექანიკური შეცდომა მეგონა, მაგრამ ახლა გავბრაზდი... ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა გაშუქდეს, ბოლო ბოლო, პასუხი უნდა აგოს, ვისაც ხალხის გაყვლეფაში ბრალი მიუძღვის. მაღაზიაში რამე რომ მოიპარო, ციხეში ამოგალპობენ და თვითონ რა უფლებით გვძარცვავენ?“

„ვერსია“ „გუდვილის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, **ნატო დარჩიაშვილს** დაუკავშირდა, რომელმაც ასეთი კომენტარი გააკეთა: **„ძალიან სამწუხაროა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მსგავსი ფაქტების გამოვლენა, რადგან ორიენტირებულები ვართ მომსახურებასა და ხარისხზე... მოლარის დანაშაულთან მივდივართ და ხელი ვინმეს უსამართლოდ რომ არ დავადოთ, გამოვიკვლევთ, რა მოხდა რეალურად. შეიძლება ადამიანური შეცდომაა“.**

P.S. „გუდვილის“ პრესსამსახურის უფროსთან საუბრიდან რამდენიმე წუთი იყო გასული, ჰიპერმარკეტის წარმომადგენელი თავად დაგვიკავშირდა და მოგვახსენა, რომ მოლარეს მოუვიდა მექანიკური შეცდომა და, რადგან აღნიშნული პროდუქცია (იოგურტი) შეკვრაში, ძირითადად, 6-6 ცალი დევს, მექანიკურად, ჩამონათვალში ასე ჩაწერა. დაზარალებული ამბობს, რომ იოგურტის ის სახეობა, რომელიც შეიძინა, ჩვეულებრივ, შეფუთვის გარეშე იყიდება. ანა ჭელიძე მომხმარებელს ურჩევს, შეძენილი პროდუქტის ჩამონათვალი სალაროსთან საგულდაგულოდ დაათვალიერონ, რათა მომსახურე პერსონალის „ადამიანური შეცდომის“ გამო, ზედმეტი თანხა არ გადაიხადოს. ჩვენ კი, იმის განსაზღვრა, რამდენად მყარია „გუდვილის“ წარმომადგენლის არგუმენტი, მკითხველისთვის მიგვინდია.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი სქემა

რატომ ყოფენ კატეგორიებად და რას ნიშნავს პრაქტიკოსი, წარმატებული და მკვლევარი პედაგოგი

სექტემბრიდან სკოლის პედაგოგები კატეგორიებად დაიყოფიან. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უკვე დაასრულა მუშაობა მასწავლებლის ახალ პროფესიულ სტანდარტზე, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომაც უკვე დაამტკიცა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის პროგრამის კოორდინატორის, კახა ჟღენტის განმარტებით, ცვლილებები სწავლის პროცესის ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად ტარდება. დღემდე არსებული სასერტიფიკაციო გამოცდით, პედაგოგის მხოლოდ თეორიული ცოდნა მოწმდებოდა და არ იყო განსაზღვრული, სერტიფიცირებული პედაგოგი რამდენად წარმატებით იყენებს ცოდნას საგაკვეთილო პროცესში. პედაგოგების საქმიანობის შედეგები ფასდებოდა საერთაშორისო კვლევებით, ეროვნული და „ქათის“ გამოცდებზე მისი მოსწავლეების მიერ დადებული შედეგებით. სამაგიეროდ, გაურკვეველი იყო, როგორია გაკვეთილის პროცესი, რამდენად ეფექტური კომუნიკაცია აქვს პედაგოგს ბავშვებთან და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი კომპონენტი... ახლებური სტანდარტით კი, კახა ჟღენტის მტკიცებით, მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასება უფრო მოსახერხებელი გახდება.

ახალი სტანდარტით, საქართველოში ოთხი კატეგორიის პედაგოგი იარსებებს: პრაქტიკოსი, წარჩინებული, მკვლევარი და მენტორი. მასწავლებლის საკვალიფიკაციო კატეგორიები გამოყოფილია კომპეტენციებისა და საქმიანობის შედეგების მიხედვით. კატეგორიებიდან ყველაზე დაბალი საფეხურია პრაქტიკოსი, ხოლო ყველაზე მაღალი — მენტორი. ყოველი საკვალიფიკაციო კატეგორიის მინიჭება დასტურდება შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატით. ყოველი მომდევნო კატეგორიის მასწავლებელი სრულად უნდა ფლობდეს წინა კატეგორიის კომპეტენციებს.

კახა ჟღენტი: პრაქტიკოს პედაგოგს აქვს თეორიული ცოდნა პროფესიულ უნარებსა და საგანში, რომლის საფუძველზეც კლასში წარმატებულ სასწავლო პროცესს ახორციელებს; წარჩინებული პედაგოგი ინდივიდუალურად მუშაობს ყველა მოსწავლესთან, მათი შესაძლებლობის გათვალისწინებით შეუძლია დაეხმაროს წარმატების მიღწევაში; მკვლევარი პედაგოგი გაკვეთილს ატარებს საკუთარი პრაქტიკული კვლევების, პროფესიული საქმიანობის სიღრმისეული ან ანალიზის საფუძველზე — პრაქტიკულ კვლევას მაღალი დონის პედაგოგი ატარებს და შედეგის მიხედვით კლასში სამოქმედო გეგმასაც ცვლის; ყველაზე მაღალი საფეხური მენტორი პედაგოგია, რომელიც პრაქტიკული კვლევებით, ანალიზით, გაკვეთილების ჩატარების სტილითა და შედეგებით ავტორიტეტია. მისი გზა სამაგალითოა დამწყები პედაგოგებისთვის“.

არ არის გამორიცხული, ამ ოთხ კატეგორიას, მომავალში, დამწყები პედაგოგის საფეხურიც დაემატოს... რადგან დღემდე არ არსებობს მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის შეფასების მონაცემები, განათლების სისტემა დაეყრდნობა ორ ობიექტურ მახასიათებელს: აკადემიური განათლება — ესაა ხარისხი და ის, სერტიფიცირებულია თუ არა პედაგოგი... სერტიფიცირებულ მასწავლებლებს ავტომატურად მიენიჭებათ წარჩინებული პედაგოგის სტატუსი. საგანში მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონე გამოცდილი პედაგოგები კი, საწყის ეტაპზე, მკვლევარის სტატუსით ისარგებლებენ. მომავალში ყველა მასწავლებელს, ხარისხის მიუხედავად, შეუძლია ნებისმიერ საფეხურს მიაღწიოს პროფესიული საქმიანობის შეფასების საფუძველზე — ახალი სქემის ამოქმედებისთანავე, შეფასების მთავარი კრიტერიუმი გახდება მისი პრაქტიკული საქმიანობა კლასში და ბავშვების წარმატება.

ამ ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ სერტიფიცირება, როგორც მასწავლებლის უფლების მოპოვების იურიდიული ფორმა გაქრება, მაგრამ დარჩება, როგორც საჭირო კრედიტების დაგროვების ალტერნატიული ფორმა. კრედიტების დაგროვება იმისთვისაა საჭირო, პრაქტიკოსის კატეგორიიდან წარჩინებული პედაგოგის საფეხურზე ავიდეს, მესამე და მეოთხე საფეხურზე ასასვლელად კი ისეთი უნარ-ჩვევები უნდა გამოავლინოს, რომელიც უბრალოდ გამოცდით არ მოწმდება. დღეს შეფასების სისტემა განხილვის პროცესშია, ახალი სტანდარტის საფუძველზე შეიქმნება შეფასების სახელმძღვანელო, რომელიც საქართველოს მასშტაბით, ყველა მასწავლებლისთვის ერთნაირი იქნება. სახელმძღვანელოში გაწერილი იქნება პროცედურები და კრიტერიუმები, როგორ და რამდენი კრედიტით უნდა შეფასდეს პედაგოგის სხვადასხვა აქტივობა. ამ სახელმძღვანელოს მიხედვით, ჯერ პედაგოგი მოახდენს თვითშეფასებას, შემდეგ მას სკოლა შეაფასებს, ბოლო ეტაპი კი, გარედაკვირვება-შეფასება იქნება. თუ სამივე მონაცემი დაემთხვა (დადებითი კუთხით), შეფასება ობიექტურად ჩაითვლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარედაკვირვება კიდევ რამდენჯერმე მოხდება. ასევე შეიქმნება დახურული საინფორმაციო სისტემა, სადაც ყველა პედაგოგის ელექტრონული პორტფოლიო მოიყრის თავს. შეგროვილი ინფორმაციის შეჯერებით გადაწყდება, დააგროვა თუ არა კრედიტების სათანადო რაოდენობა და გადავა თუ არა მასწავლებელი შემდეგ ეტაპზე. გამოიკვეთება პრობლემებიც.

კრედიტების დასაგროვებლად, სასწავლო პროცესი შეფასდება შემდეგი აქტივობების გათვალისწინებით:

საგაკვეთილო პროცესი — პროექტი, მოსწავლესთან მუშაობა, კვლევა, კლასგარეშე აქტივობა, სადამრიგებლო პროგრამის განხორციელება, პროფესიული ორიენტაცია, სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა, სასწავლო რესურსის შექმნა, მოსწავლეთა მიღწევები;

პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა — ტრენინგი, სტაჟირება, აკადემიური კურსები, კოლეგებთან თანამშრომლობა, კონფერენცია, ექსპერტ-კონსულტანტობა, პედაგოგიური პრაქტიკის მეურვეობა, პროფესიული ლიტერატურის შექმნა, საგნობრივი ტესტის ჩაბარება, სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა.

ყველა აქტივობას შესაბამისი კრედიტი მიენიჭება. პრაქტიკოს მასწავლებელს 24 კრედიტის დასაგროვებლად, შესაბამისად წარჩინებულთა კატეგორიაში გადასასვლელად 3 წელი ეძლევა. ამ ხნის განმავლობაში იგი აქტიურად უნდა იყოს ჩართული სასწავლო პროცესში და მუდმივად მუშაობდეს საკუთარ თავზე, რადგან „ჩამოლაბორანტებაც“ შესაძლებელია. კატეგორიის შესანარჩუნებლად კი, პრაქტიკოსმა პედაგოგმა, მინიმუმ 14 კრედიტი უნდა დააგროვოს. წარჩინებულ მასწავლებელს 4 წელიწადი აქვს 32 კრედიტის მისაღებად და, შესაბამისად, მკვლევართა კატეგორიაში გადასანაცვლებლად. კატეგორიის შესანარჩუნებლად კი 24 კრედიტის დაგროვება მოუწევს. მკვლევარ მასწავლებელს 5 წელი აქვს 40 კრედიტის დასაგროვებლად, შესაბამისად, მომდევნო კატეგორიაში გადასასვლელად, კატეგორიის შესანარჩუნებლად კი 32 კრედიტი უნდა დააგროვოს.

იმ პედაგოგებს, ვინც ჩათვლის, რომ მომდევნო საფეხურზე ასასვლელადაა მზად, კატეგორიის დაჩქარებული წესით გავლის შესაძლებლობა ექნება — ყველა კატეგორიის მასწავლებელს შეუძლია 2 წელში დააყენოს საკითხი შეფასების შესახებ. ამ ფონზე, შესაძლებელია, მასწავლებელმა, რომელიც სერიოზულად მუშაობს საკუთარ თავზე, კარიერული ზრდის სრული გზა 6 წელიწადში გაიაროს.

სხვადასხვა კატეგორიის მასწავლებელს, ცხადია, განსხვავებული ანაზღაურება ექნება, თუმცა დაბალ და უმაღლეს საფეხურზე პედაგოგების ხელფასს შორის სხვაობა რამდენად დიდი იქნება, ჯერჯერობით დაუდგენელია. არაა გამორიცხული, სტატუსისა და ანაზღაურების გარდა, მომავალში, სხვადასხვა კატეგორიის პედაგოგები სხვა კრიტერიუმითაც განსხვავდებოდნენ, მაგალითად, პრაქტიკოსსა და „მენტორს“ არ ჰქონდეთ საშუალება, ერთი და იგივე რაოდენობის საგაკვეთილო საათები აიღონ. სასწავლო ნაწილის გამგეობისთვის ან დირექტორობისთვის ბრძოლა, მხოლოდ მაღალი კატეგორიის პედაგოგებს შეეძლოთ და მხოლოდ მათვე ჰქონდეთ სადამრიგებლო კლასის აყვანის უფლებაც, ამ ეტაპზე კი ეს ვერ მოხერხდება, რადგან, კახა ჟღენტის თქმით, დღეს საქართველოში, ძირითადად, პრაქტიკოსი მასწავლებლები გვყავს და წარჩინებული პედაგოგიც კი არც ისე ბევრია.

მომზადებულია Aris.ge-ს მასალების მიხედვით

მე-12 კლასელების გამოსაშვები გამოცდები 21 მაისს, მე-11 კლასელთა რეგისტრაცია კი 25 აპრილიდან დაიწყება

ერთიანი ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, მაია მიმინოშვილის განცხადებით, საქართველოს მასშტაბით მე-12 კლასელების გამოსაშვები გამოცდები 21 მაისს დაიწყება. მიმინოშვილისვე თქმით, მე-12 კლასელებს ჯერ სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება მოუწევთ, რათა შემდგომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიიღონ მონაწილეობა.

გამოსაშვები გამოცდები ორ ნაწილადაა გაყოფილი. მე-12 კლასელები გამოცდას ოთხ საგანში ჩააბარებენ: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, უცხო ენასა და მათემატიკაში.

მაია მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ მე-12 კლასელების საგამოცდო პერიოდი 20 მაისს დაიწყება და 25 მაისს დასრულდება.

მისივე თქმით, 20 მაისს მოსწავლეები კომპიუტერთან საგამოცდო პროგრამას გაეცნობიან და ივარჯიშებენ. უშუალოდ გამოცდა 21 მაისს ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაიწყება და ბოლო გამოცდა 24 მაისს მათემატიკაში იქნება.

მაია მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ გამოცდებზე იმ მეთორმეტეკლასელებსაც იწვევენ, რომლებმაც შემოდგომის სესიაზე რომელიმე საგანში ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხეს და მათ ექნებათ შესაძლებლობა, ხელახლა ჩააბარონ ამ საგანში გამოცდა.

ამასთან, 25 მაისს იქნება გამოცდა არაქართულენოვანი სკოლების მე-12 კლასელებისთვის ქიმიაში და იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებმაც ქიმიაში ბარიერი ვერ გადალახეს. მეთერთმეტეკლასელებისათვის საგამოცდო პერიოდი 25 მაისს დასრულდება.

მიმინოშვილის განცხადებით, რეგისტრირებული მე-12 კლასელების რაოდენობა წელს უფრო ნაკლებია, ვიდრე წინა წლებში იყო და 38 000-ზე მეტს შეადგენს.

მე-12 კლასელებს საგამოცდო მოსაწვევი ბარათები მაისის ბოლოს დაურიგდებათ. ბარათებში გაწერილი იქნება განრიგი და დრო, როდის უნდა ჩააბარონ საგნებში გამოცდები.

ამასთან, მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში დარეგისტრირებულია 36 500 აბიტურიენტი და მათი უმეტესობა მე-12 კლასელები არიან. გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ წელს საგნებში მე-12 კლასელებისთვის ბარიერი შეადგენს 5-დან 10-ბალიან შკალას და მოსწავლეებმა გამოცდის ჩასაბარებლად სულ მცირე 5.5 ქულა უნდა მიიღონ, რათა გამოცდა დაძლიონ.

მაია მიმინოშვილმა წარმატება უსურვა მე-12 კლასელებს და იმედი გამოთქვა, რომ უმეტესობა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიიღებს შემდგომ მონაწილეობას.

ამასთან, წელს ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში 26 ივნისს დაიწყება.

მე-11 კლასელების გამოსაშვები გამოცდისთვის კი, რეგისტრაცია 25 აპრილიდან დაიწყება. მე-11 კლასელების გამოსაშვები გამოცდები ივნისში ჩატარდება, რადგან ისინი სწავლას 15 ივნისს ასრულებენ.

მეთერთმეტე კლასელები გამოცდას ჩააბარებენ შემდეგ საგნებში: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და გეოგრაფია. მათი საგამოცდო პერიოდი 13 ივნისს დაიწყება. ამ დღეს

მოსწავლეებს საშუალება ექნებათ საგამოცდო პროგრამას გაეცნონ და გამოცდის ჩაბარებაში ივარჯიშონ. უშუალოდ პირველი გამოცდა კი, 14 ივნისს ჩატარდება.

მიმინოშვილის განცხადებით, 15 ივნისი თვითმმართველობის არჩევნების დღეა, ამდენად ამ დღეს მოსწავლეები დაისვენებენ. საგამოცდო პროცესში კი ისინი 16, 17 და 18 ივნისს ჩაერთვებიან. 19 ივნისი კი, მე-11 კლასელებისათვის სარეზერვო და საგამოცდო პროცესის დასრულების დღეა. გამოცდებში მონაწილე მე-11 კლასელთა ზუსტი რაოდენობა ამ დღეებში გაირკვევა.

„ინტერპრესნიუსი“

ინფარქტის მოახლოებას თმა წინასწარმეტყველებს

ისრაელში, ერთ-ერთ კლინიკაში ჩატარებული კვლევების საფუძველზე, მალე ადრეული ინფარქტის დიაგნოსტიკის ახალ მეთოდიკას შეიმუშავებენ, დიაგნოზის დასასმელად კი ოჯახის ექიმს პაციენტის თმის ერთი ღერი დასჭირდება. მედიკოსებისთვის ცნობილია, რომ ინფარქტამდე და საერთოდ, გულის დაავადებამდე, შესაძლოა, სტრესმა მიგვიყვანოს, მაგრამ ყოველი ადამიანი სხვადასხვაგვარად რეაგირებს პრობლემებზე ოჯახსა და სამსახურში, ამიტომ სპეციალისტები ვერ ახერხებდნენ, ეპოვათ „სტრესის“ დონის გაზომვის ზუსტი მეთოდი და ვერც იმას იგებდნენ, როდის აღწევს „წითელ ზღვარს“. ებრაელმა ექიმებმა კანადელი კოლეგების მიერ დამუშავებული მეთოდიკა გამოიყენეს და გადაწყვიტეს, შეემოწმებინათ კორტიზონის დონე 150 პაციენტის თმაში, რომელთაც გულის პრობლემები ჰქონდათ და გაერკვიათ, როგორც იცვლება ამ „სტრესის ჰორმონის“ დონე ორგანიზმში. ვინაიდან თმა თავზე თვეში ერთი სანტიმეტრით იზრდება, პაციენტების ორი ჯგუფისგან თმის 3 სანტიმეტრის სიგრძის ნიმუშები აიღეს. პირველ ჯგუფში ის ავადმყოფები იყვნენ, ვინც საავადმყოფოში გულის პრობლემების გამო მოხვდნენ, მეორეში — თერაპიული განყოფილების პაციენტები. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ პირველი ჯგუფის პაციენტებში კორტიზონის დონე რამდენჯერმე აღემატებოდა დასაშვებ ნორმას. კარდიოლოგები აცხადებენ, რომ ჯერჯერობით მხოლოდ კვლევების წინასწარ შედეგებზეა საუბარი, რომელიც კიდევ უნდა შემოწმდეს. ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე ისრაელის კლინიკების ასობით პაციენტი მიიღებს მონაწილეობას. მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ მალე მედიკოსები სტრესის დონეს მარტივი ანალიზის საშუალებით განსაზღვრავენ და საშუალება მიეცემათ, დროულად დაიწყონ მოსალოდნელი ინფარქტის პროფილაქტიკური მკურნალობა.



დამქირავებლებს თანამშრომლის შეწუხება აუკრძალეს



საფრანგეთის პროფკავშირმა და დამქირავებელთა ორგანიზაციებმა შეთანხმებას მოაწერეს ხელი, რომლის მიხედვით, დამქირავებელს ეკრძალება თანამშრომლების შეწუხება სამუშაო საათების დასრულების, ანუ საღამოს ექვსი საათის შემდეგ. ამიერიდან, კომპანიებსა და სხვადასხვა ფირმაში მომუშავეებს შეუძლიათ, არ უპასუხონ საქმიან სატელეფონო ზარს ან ელექტრონულ შეტყობინებას არასამუშაო საათებში; მეტიც — თანამშრომლებს ურჩევენ, გამორთონ სამუშაო სმარტფონები სამსახურიდან წასვლის შემდეგ და არც ელფოსტა გახსნან. შედეგად საფრანგეთის მილიონზე მეტ მოქალაქეს, რომლებიც კონსალტინგურ თუ სხვა სფეროში არიან დასაქმებულნი, „ციფრული“ სამუშაო საათები მოეხსნება. ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სამუშაო დრო კვირაში 35 საათითაა განსაზღვრული, თუმცა ინტერნეტისა და სხვა მობილური აპარატურის წყალობით, დამქირავებლები ხშირად ცდილობენ სამსახურის საკითხების მოგვარებას საღამოს, შედეგად კი სამუშაო კვირის ხანგრძლიობა 40 საათს აჭარბებს. საფრანგეთი ცნობილია შრომის კანონმდებლობის მკაცრი დაცვით, სადაც საღამოს ცხრა საათიდან დილის ექვს საათამდე მუშაობა აკრძალულია. აქ ერთხელ უკვე დაჯარიმდა კომპანია „ეფლი“ , რადგან თანამშრომლებს აიძულებდა, ღამით ემუშავათ. მსგავს ღონისძიებებს მიმართავენ სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, გერმანულმა „ვოლკსვაგენმა“ საკუთარი საფოსტო სერვერები ისე ააწყო, თანამშრომლები არ იღებენ საქმიან ელექტრონულ ფოსტას, თუკი სამუშაო საათების დასრულებამდე მხოლოდ 30 წუთია დარჩენილი.

დესერტი მწერებით შეკმაზეს

ჰოლანდიელმა კულინარებმა, ცოტა ხნის წინ, საზოგადოების სამსჯავროზე უჩვეულო ტკბილეული გამოიტანეს — ნამცხვრები მატლებითა და კალიებით მორთეს. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საკვებისთვის მწერები საუკეთესო ინგრედიენტია, რადგან ისინი მდიდარია პროტეინებით. გარდა ამისა, ნიდერლანდელი კულინარების ეს ჯგუფი ამზადებს „მწერების სამზარეულოს წიგნს“ (Insect Cookbook), პრეზენტაციაზე კი შეფმზარეულები მსოფლიოში ყველაზე დიდი კალიის ღვეზელის გამოცხობას აპირებენ. აღსანიშნავია, რომ ქალაქ ჰაარლემში სპეციალური რესტორანი არსებობს, სადაც კლიენტებს მწერებისგან მომზადებული კერძებით უმასპინძლდებიან.

Appraisal.llc

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

კრუიზში – გაურკვეველი მიმართულებით...

ერთ-ერთი ევროპული კომპანია ტურისტულ ბაზარზე უჩვეულო წინადადებით გამოდის: ეს ორკვირიანი კრუიზია გაურკვეველი მარშრუტით. მოხვდებიან რა ლაინერის ბორტზე, გემის მგზავრები თავად ეუბნებიან კაპიტანს, რომელი პორტისკენ გაცურონ. მგზავრებს ორი კურსიდან ერთ-ერთის არჩევის შესაძლებლობა ყოველ 48 საათში ერთხელ ექნებათ. როგორც კომპანიაში აცხადებენ, პირველი არჩევანი ესპანურ ვიგოსა და პორტუგალიურ ლეიშოინშს შორის გაკეთდება, შემდგომ მიმართულებას მგზავრები აირჩევენ.

კაცის ხასიათი და საყვარელი საჭმელი

სწავლულები ამომავალი მზის ქვეყნიდან მრავალწლიან კვლევებს ატარებდნენ ამ თემაზე და გაირკვა, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლების ამოცნობა მათი „კუჭის გავლითაც“ ყოფილა შესაძლებელი:

თუ მამაკაცი თევზეულის მოყვარულია, სიმშვიდითა და გაწონასწორებული ხასიათით გამოირჩევა, თავშეკავებულია და საზრიანობა კოლეგებისა თუ მეგობრების პატივისცემის მოპოვებაში ეხმარება. ამ ტიპის ადამიანებს სასიყვარულო ურთიერთობებშიც სიმტკიცე ახასიათებთ, ოჯახის ბურჯები არიან, თუმცა გარშემომყოფების მიმართ სიცივეს ამჟღავნებენ.

ხილის მოტრფიალე მამაკაცები ემოციურობით გამოირჩევიან, ადვილად იძენენ მეგობრებს და ამიტომ გარშემომყოფები მათ ყურადღებიან, გულისხმიერ ადამიანებად მიიჩნევენ. მათთვის უცხოა პატივმოყვარეობა და პირველობისთვის ბრძოლა, არ უყვართ კონკურენცია და ამის გამო არც კარიერაში წინსვლისკენ ისწრაფვიან — ისეთ პროფესიას ამჯობინებენ, სადაც პირველ რიგში, შემოქმედებით უნარს გამოავლენენ. იმის გამო, რომ ნაკლებად პატივმოყვარენი არიან, ზოგჯერ დაუდევრად იქცევიან; ქალის გულს ადვილად იპყრობენ, მაგრამ ურთიერთობის დიდხანს შენარჩუნება არ შეუძლიათ.

ბიფშტექსის მოყვარული კაცი ტემპერამენტიანი და იმპულსურია, მას ახასიათებს როგორც აღმასვლა, ასევე მარცხიც. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მამაკაცები წარმატებასაც ხშირად აღწევენ, ჩანაფიქრისა და წამოწყების ბოლომდე მიყვანა არ შეუძლიათ. მერყევები არიან სიყვარულსა და ოჯახურ ურთიერთობებში.

ბოსტნეულის კერძები იმ მამაკაცების საყვარელი საკვებია, ვინც პატივმოყვარე და ძუნწია. ცხოვრებაში მშვიდობისმოყვარულები არიან, ყოველთვის ჰარმონიულ და მუდმივ პარტნიორობას ესწრაფვიან, ამიტომ ოჯახურ ურთიერთობებში სტაბილურობის სურვილი ამოძრავებთ. ასეთი ტიპის მამაკაცებს საკუთარ ჯანმრთელობაზე განსაკუთრებული ზრუნვა ახასიათებთ.

ცხიმიანი საკვების მოყვარულები ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოჩაღები და მოხერხებულები არიან. კარიერაში ხშირად აღწევენ წარმატებებს, საკმაოდ გაწაფულები არიან ფლირტში, ადვილად ახერხებენ ქალის გულის მოგებას და მათთვის თავბრუს დახვევას. შესანიშნავი საყვარლები არიან, მაგრამ არა კარგი მეოჯახეები.

ვისაც ცხარე საკვები და პიკანტური სანელებლები მოსწონს, თავშეუკავებლობით, მგზნებარებითა და ტემპერამენტით გამოირჩევა. ადრენალინის მისაღებად მაღალ რისკთან დაკავშირებულ სამუშაოს ეძებენ. უყვართ მოგზაურობა და სპორტის ექსტრემალური სახეობები. მათ მთავარ ნაკლად სწავლულებმა ეგოიზმი დაასახელეს. ამ ტიპის მამაკაცების „სანელებლიანი“ ხასიათი ვერ იტანს საწინააღმდეგო აზრს და შეკამათებას, რის გამოც ხშირად კონფლიქტი აქვთ არა მხოლოდ უცხო ადამიანებთან, არამედ ახლობლებსა და მეგობრებთანაც. სასიყვარულო ურთიერთობებში არასერიოზულები, თავქარიანები და მერყევები არიან.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲒᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		7						
4	5				9	1		6
	1			5	6			4
9							1	
		3	6	1	4	5		
	2							3
6			4	7			8	
7		1	3				6	2
						7		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		4					3	2
			1		2		8	
			3			7		
9					6		7	
		5		2		8		
	1		8					5
		9			7			
	3		9		4			
1	8					6		

ᲠᲗᲣᲚᲘ

						5	7	
1		6						2
8	7		6			1		
		1	4		6			
7			2	1	9			3
			8		7	9		
		7			4		6	1
2						4		5
	6	8						

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

						8		
	5	3	8			6		
2		4	7	6				
	4		3	1				8
1				9				4
3				7	4		6	
				4	7	3		5
		9			3	4	2	
		6						

ალკოჰოლიზმს ჭამით კუპნავენ

პენსილვანიელი სწავლულების ახალი გამოკვლევის თანახმად, ზედმეტი კვება ანუ დროის მოკლე ხანში დიდი რაოდენობით საკვების მიღება ადამიანს ფსიქოტროპული, ნარკოტიკული და ალკოჰოლური დამოკიდებულებისგან იხსნის. ამ აღმოჩენით, შესაძლოა, ადამიანი ნებისმიერი მავნე ჩვევისგან განიკურნოს. ალკოჰოლიზმი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დამოკიდებულებაა როგორც მამაკაცებში, ასევე სუსტი სქესის წარმომადგენლებშიც. ზედმეტი ჭამა და ნარკოტიკების მიღება კონტროლის დაკარგვით ხასიათდება. მკვლევარებმა ცდები მღრღნელებზე ჩაატარეს: პირველ ჯგუფს ნორმალურად კვებავდნენ, მეორეს მუდმივად შეეძლო ცხიმიანი საკვების მიღება, მესამე ჯგუფს ამის საშუალება კვირაში ერთხელ ჰქონდა, მეოთხე ჯგუფის წევრებს კი ამ მავნე საკვებს კვირაში სამჯერ აძლევდნენ... აღმოჩნდა, რომ ნარკოტიკებისადმი მისწრაფება მეოთხე ჯგუფის მღრღნელებში შემცირდა, რამაც სწავლულებს დასკვნის გაკეთების საშუალება მისცა: „რაციონალური“ ზედმეტი კვება შესაძლოა ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისთვის წამლად იქცეს. უკონტროლო ჭამა კი, პირიქით, დამოკიდებულებას უფრო აძლიერებს.

მკერდის კიბოს ობოების შხამით უმკურნალებენ

ავსტრალიელმა პროფესორმა ნორელ დეილიმ 200 ათასი დოლარის გრანტი მიიღო ავსტრალიის მკერდის კიბოს ფონდიდან, რათა ტესტირება ჩაატაროს სიდნეური ობობისა და ტარანტულის შხამზე. დეილი აპირებს, ლაბორატორიულად შეამოწმოს თეორია, რითაც ობობის შხამის სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებები უნდა დაამტკიცოს. მან შხამის ასობით მოლკულის ოზოლირება უნდა მოახდინოს და ის კიბოს უჯრედების გარემოში მოათავსოს. მეცნიერი იმედოვნებს, რომ შხამის მოლეკულების ნაერთი შეაფერხებს სიმსივნის განვითარებას და ავთვისებიან უჯრედებს ორგანიზმში საერთოდ მოსპობს. ახლა პირველადი ცდები უნდა ჩატარდეს და ჯერ დასკვნების გამოტანა ძნელია, თუმცა ამ ბუნებრივ შხამზე დიდ იმედს ვამყარებთ, — განაცხადა სწავლულმა. აღსანიშნავია, რომ მკერდის კიბო ყველაზე გავრცელებული ნიდერლანდებში, დანიაში, შვედეთსა და საფრანგეთშია. ევროკავშირის ქვეყნებში, ყოველ 25 წუთში სვავენ ასეთ დიაგნოზს, ყოველ 6,5 წუთში კი ამ დაავადებით ერთი მანდილოსანი კვდება.

მეუღლეებს ერთად ძილს არ ურჩევენ

როგორ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, სწავლულები მამაკაცებს მეუღლესთან ძილს არ ურჩევენ. მკვლევარებმა „მწვანე კონტინენტიდან“ დაადგინეს, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენელი სრულყოფილად ვერ დაისვენებს, თუკი ვინმესთან ერთად გაიყოფს სარეცელს. არასრულფასოვანი ძილი კი მეორე დღეს უარყოფითად აისახება როგორც სამუშაო პროცესზე, ასევე ჯანმრთელობაზეც. სწავლულები გვარწმუნებენ, რომ პარტნიორთან ერთად წოლა და ძილი მამაკაცებში სტრესის ჰორმონის გამომუშავებას აძლიერებს, რის გამოც ის უფრო ადვილად ღიზიანდება.

მიუხედავად ამისა, სოციოლოგიური კვლევები ამტკიცებს, რომ მამაკაცებს მარტო წოლას, მაინც საყვარელ ქალთან ერთად ყოფნა ურჩევნიათ. არადა, კვლევებით ისიც დამტკიცებულია, რომ ამ პერიოდში მათი გონებრივი აქტიურობა მხოლოდ იკლებს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5	7	6	4	8	3	2	1	9
8	2	4	1	9	7	6	5	3
3	9	1	2	6	5	8	4	7
2	3	5	9	4	1	7	8	6
9	4	8	7	5	6	3	2	1
1	6	7	8	3	2	5	9	4
7	1	9	6	2	8	4	3	5
6	8	3	5	1	4	9	7	2
4	5	2	3	7	9	1	6	8

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	9	3	2	1	8	6	7	5
2	7	6	5	4	9	3	8	1
1	8	5	7	6	3	4	2	9
6	4	9	3	5	7	2	1	8
8	1	7	9	2	4	5	6	3
3	5	2	1	8	6	9	4	7
7	6	4	8	9	5	1	3	2
9	3	1	6	7	2	8	5	4
5	2	8	4	3	1	7	9	6

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	1	3	7	8	6	5	2	9
2	9	8	5	4	3	1	7	6
7	6	5	2	1	9	8	4	3
3	2	9	1	7	8	6	5	4
1	5	4	3	6	2	7	9	8
8	7	6	9	5	4	3	1	2
6	8	7	4	9	5	2	3	1
5	4	2	8	3	1	9	6	7
9	3	1	6	2	7	4	8	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	3	1	2	5	7	6	4	9
7	6	9	1	4	3	2	5	8
2	5	4	8	9	6	3	1	7
6	9	5	4	3	2	8	7	1
1	8	3	7	6	9	5	2	4
4	7	2	5	1	8	9	6	3
9	4	8	6	2	1	7	3	5
5	2	7	3	8	4	1	9	6
3	1	6	9	7	5	4	8	2

მე-12 გვერდი: 1. პენტჰაუზი; 2. ჰამაკი; 3. პირატი; 4. ნოქტიურნი; 5. „ჰეინეკენი“; 6. ჰიპოტენუზა; 7. მესოპოტამია; 8. კატა; 9. არაქსი; 10. ალმასი; 11. სლაიდი; 12. ელისტა; 13. პასატი; 14. ირიდა; 15. აქცია; 16. ქორო; 17. ევრა; 18. ტუპი; 19. ლილუ; 20. იუდა; 21. ნიცა; 22. ნოტი; 23. დიდი; 24. როკადა; 25. სტოა; 26. ზომა; 27. წვა; 28. დადაიზმი; 29. ყია; 30. ტალავარი; 31. აგული; 32. შამანი; 33. ლაიოსი; 34. აკრა; 35. ირი; 36. ოდა; 37. ბლუზა; 38. შალვა; 39. ბის; 40. ანგორა; 41. აკოლადა; 42. ელექტრონი; 43. ოზმა; 44. ავსტრია; 45. მეი; 46. კაა; 47. ალო; 48. ზუა; 49. აბულია; 50. ალიბი; 51. იქედნე; 52. ინდოეთი; 53. უდე; 54. ატა; 55. ხმალა; 56. ურა; 57. ონიქია; 58. აზაზელი; 59. ირიტი; 60. ხურდა; 61. ივნისი; 62. „სკონტო“; 63. პლისე; 64. ბაია; 65. „სუბარუ“; 66. რევ; 67. რონდო; 68. გორდია; 69. ზაქი; 70. კურტ; 71. ნავი; 72. კორა; 73. ონი; 74. ერგი; 75. ნოე; 76. იარ; 77. ზარი; 78. ანეტო; 79. კარავი; 80. დენთი; 81. ტვი; 82. იო; 83. რაი; 84. გრავე; 85. ოჟიო; 86. დიუ; 87. ლენი; 88. კოიოტი; 89. ოფურო; 90. დია.

ტელეკომპანია „თრიალეთი“

032 239 38 23
599 25 13 31

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

1. „ელვისებური ომი“
2. სპილოს ნაშიერი
3. ათოსის ვაჟი ვიკონტ დე ...
4. ურთიერთდაქვემდებარებ. ორგანოების სისტ. საფეხური
5. ცხენის ნაშიერი
6. ამერიკული ავტომარკა
7. ბაბილონელთა მთავარი ღვთაება
8. მეომარი ქალღმერთი სკანდინავიურ მითოლოგიაში
9. გოეთეს შემოქმედების მწვერვალი
10. ყვავის ნაშიერი
11. შიშველი სხეულის გამოსახვა ფერწერაში
12. აკაკი წერეთლის პოემა
13. წყლიანი ადგილი უდაბნოში
14. ისლანდიელი მომღერალი ქალი
15. უძველესი ქართული მრავალსიმიანი საკრავი
16. „ნახეს ... მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა...“
17. ჯავშნიანი ქვეწარმავალი
18. ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი
19. ოჯახი მაფიაში
20. ...-ხანუმი „გამზრდელში“
21. მამაკაცური საწყისი ჩინურ მითოლოგიაში
22. საოპერო პარტია
23. ძველეგვიპტელთა წმინდა ხარი
24. ციური სხეულის სამოძრაო გზა
25. ჩრდილოამერიკული შავი დათვი
26. ბუდას დედის სახელი
27. იტალიის საფეხბურთო კლუბი
28. სოფელი სიღნაღის რაიონში
29. მხრებზე დასადგმელი ტახტრევანი დიდებულთა სატარებლად
30. ჯგუფური მეცადინეობის ფორმა ინსტიტუტში
31. ზღაპრული ცხენი
32. დიდი რუსი მომღერალი, ბანი
33. გერმანიის სახელწოდება საფრანგეთში
34. ჯვარი, ლაშქ.
35. 1000 კგ
36. უფლისგან შერისხული ერთ-ერთი ბიბლ. ქალაქი
37. ზრდილობიანი მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
38. თხების ჯოგი
39. ბიბლიური მოსეს ძმა
40. დათვის ნაშიერი
41. წინასწარი განცხადება
42. ფორტეს საპირისპირო ტერმინი
43. კომიკოსი ... ხვიჩია
44. დიოხის მეორე სახელწოდება
45. უუფლებო ადამიანი
46. ერთგვარი პატარა ჩიტი
47. თუთიყუშის ჯიში
48. კორეული ავტომარკა
49. ლუდის ბარი ინგლისში
50. მდინარე ავსტრიაში
51. მაღალფეხიანი სასმისი, რომელიც ზიარების რიტუალის შესრულებისას იხმარება
52. ნაწნავის ძველქართული სახელწოდება
53. პარიზის აეროპორტი
54. სამოას დედაქალაქი
55. მხატვრობა ღია ცის ქვეშ
56. პატარა ძაღლი, გოშია
57. სასულთნო აზიაში, კუნძულ კალიმან-ტანზე
58. დახურული ჭურჭელი
59. სამიანი კამათელზე
60. ხორცი ბავშვის ენაზე
61. ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი
62. ხოხბის ბარტყი
63. უდიდესი ერთნიშნა ნატურალური რიცხვი
64. ფუტკრის სახლი
65. სამოთხის ბაღი
66. ფუჭი, უშედეგო
67. ... როსტოვა („ომი და მშვიდობა“)
68. ხელოვნური ტყავი ჩექმების შესაკერად
69. ცხენის გახარეკი შეძახილი
70. ადამის ცოლი
71. ახალი ზელანდიის აბორიგენი
72. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი
73. იგივეა, რაც გოგრა
74. ფერმწერ ტიციანის გვარი
75. ინდუიზმის უზენაესი ღმერთი
76. ტახტის მემკვიდრის ტიტული ესპანეთსა და პორტუგალიაში
77. მრავალწლოვანი პლახოვანი მცენარე, ე. წ. „იაპონური პირშუშხა“
78. გამადიდებელი შუშა
79. მუხის ნაყოფი
80. არგენტინის ნაკრების კაპიტანი
81. კათოლიკური წირვა
82. მატარებლის ვაგონის „ოთახი“
83. მუდამ, ყოველთვის
84. ძლიერი წანაზარდი ცხოველის თავზე
85. მიწაში ამოთხრილი ადგილი

ავსტრალიაში „მტაცებელი“ ბანკომატები დგას

ყველამ იცის, რომ „მწვანე კონტინენტი“ ველური ბუნებით იკვეხნის, მაგრამ მტაცებელი ბანკომატების მხარეც თუ იყო, მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. ერთი ხანდაზმული ავსტრალიელი ქალბატონი მშვენივრად სარგებლობდა ბანკომატით და იქიდან არაერთხელ აუღია თანხა საბანკო ბარათით. ამჯერადაც იგივეს გაკეთება სურდა, მაგრამ ბანკომატმა, რაღაც მიზეზის გამო, არ მოისურვა გამოთხოვილ ფულთან განშორება და როცა მოხუცმა ბანკნოტების გამოღება სცადა, აპარატმა ისინი „შეიწოვა“, თან გორგოლაჭებს შორის ქალის სამი თითიც მოიყოლა. გასათავისუფლებლად ნახევარსაათიანი უშედეგო ბრძოლის შემდეგ, მოხუცმა სამაშველო სამსახურში დარეკვა მოახერხა. შემთხვევის ადგილზე მისულ მაშველებს ბანკომატის დაშლა მოუხდათ, მოხუცი რომ გაეთავისუფლებინათ. თანაც, შეიძლება ითქვას, რომ ავსტრალიელ ბებოს გაუმართლა, ის მაშინვე გასინჯეს ექიმებმა და მნიშვნელოვანი დაზიანება ვერ აღმოუჩინეს. ექიმები ადგილზე 2 საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე მაშველები ქალს გაათავისუფლებდნენ — „მტაცებელი“ ბანკომატი სწორედ ადგილობრივი საავადმყოფოს ჰოლში იდგა. მაშველების მეთაურმა ადგილობრივ ტელევიზიას განუცხადა, რომ ამ სამსახურში 37-წლიანი მუშაობის განმავლობაში მსგავსი შემთხვევა არასოდეს ჰქონია.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.